28 სექტემბერი- 4 ოქტომბერი 2017

ფასი 1 ლარი 70 თეთრი

ახალი განათლება

№27 (781) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

27 სექტემბერი – სოხუმის დაცემის დღე

გალარჩენილი ამბები

გვერდი 10

თუ სკოლაში ეფექტურად არ მოვაწყვეთ სასწავლო პროცესი, ბუნებრივია, უმაღლესში ძალიან ბევრი პრობლემა გვექნება

ჰასაჯვიჰველია, ბევჰი ჰამაა გამოსასწოჰებელი, მაგჰამ ჰა აჰის გამოსასწოჰებელი და ჰოგოჰ აჰის გამოსასწოჰებელი, ამაზე გამოცდების შედეგებით აჰ უნდა ვიმსჯელოთ. ჩვენი ოჰგანიზაცია ძაღიან ბევჰ საგანმანათღებო ჯვღევვას ატაჰებს და ჰასუხები სწოჰედ ამ ჯვღევვების შედეგებში უნდა ვეძიოთ. იმ დჰოს, ჰოცა მეცხჰეჯღასეღების ძაღიან დიდი ჰაოდენობა ვეჰ ადასტუჰებს მინიმაღუჰზე მინიმაღუჰ ჯომპეტენციას საბუნებისმეტყველო საგნებში, ჰატომ ვეღოდებით, ჰომ მეთოჰმეტე ჯღასში უჯეთესი შედეგი გვექნება. ეს ხომ აჰაჰეაღისტუჰი იქნებოდა, ეს ხომ აჰ იქნებოდა ანაჰეჯი იმისა, ჰა ჰჰობღემებსაც ვეჯახებით სკოღის ჰეჰიოდში.

გვერდი 4

აშშ-ს მშვიდობის კორპუსი საქართველოში

იწყებს სკოლების განაცხადების მიღებას 2018-2020 წლებში მოხალისესთან თანამშრომლობისთვის

Peace Corps

მშვიდობის კორპუსის მოხალისეები, ჩვიდმეტი წელია, წარმატებით ახორციელებენ განათლების პროექტს საქართველოს რეგიონებში. კონკურსში შერჩეული სკოლები ამერიკელ ინგლისური ენის მასწავლებლებთან იმუშავებენ 2018-2020 სასწავლო წლებში, ინგლისური ენის ცოდნის დონისა და სასწავლო პრაქტიკის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საჯარო სკოლებს შემდეგ რეგიონებში: **კახეთი (ახმეტის ჩრდილოეთით მდებარე სოფლების გარდა), მცხეთა-მთიანეთი (სტეფანწმინდის გარდა), ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, აჭარა, გურია, იმერეთი, სამეგრელო, რაჭა-ლეჩხუმი და სვანეთი.** კონკურსში მონაწილეობა არ შეუძლიათ იმ სოფლებისა და ქალაქების სკოლებს, რომლებიც მდებარეობენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის ათკილომეტრიან ზოლში.

თუ თქვენი სკოლა მდებარეობს ჩამოთვლილი რეგიონებიდან ერთ-ერთში, ინგლისური ენის მინიმალური საათობრივი ბადე შეადგენს 24 საათს და დაინტერესებული ხართ მოხალისესთან თანამშრომლობით 2018-2020 აკადემიურ წლებში, აპლიკაცია მოითხოვეთ ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრში ან მოიძიეთ ჩვენს ვებგვერდზე: https://www.peacecorps.gov/georgia/ask-for-a-volunteer/, შეავსეთ და მოგვაწოდეთ მშვიდობის კორპუსის ოფისში, მისამართზე: ვაჟა-ფშაველას გამზირი 29ა, თბილისი, 0160, ან გამოგვიგზავნეთ ელექტრონული ფოსტით, მისამართზე:

education@ge.peacecorps.gov

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

- ასმათ სიხარულიძე
  განათლების პროგრამის ხელმძღვანელი
  ტელ: 595906444;
- თეო ნეფარიძე
  განათლების პროგრამის ხელმძღვანელი
  ტელ: 591969881;
- ია გელაშვილი
  განათლების პროგრამის ხელმძღვანელი
  ტელ: 595950406;
- ნინო ფიროსმანიშვილი
  პროგრამების და ტრენინგების სპეციალისტი
  ტელ: 595027979;

მიადევნეთ თვალი ჩვენს ფეისბუქგვერდს:
Peace Corps Georgia

მოხალისის მოთხოვნის შევსებული ფორმის ჩაბარების ბოლო ვადაა 20 ოქტომბერი, 2017 წელი

კავკასიის უნივერსიტეტის

კავკასიის ტექნოლოგიების სკოლა (CST) აცხადებს კონკურსს

კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY

CST
კავკასიის ტექნოლოგიების სკოლა
CAUCASUS SCHOOL OF TECHNOLOGY

პროფესორის (1 ვაკანტური ადგილი), ასოცირებული პროფესორის (1 ვაკანტური ადგილი) და ასისტენტ-პროფესორის (1 ვაკანტური ადგილი) აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად, შემდეგ მიმართულებებში:

ელექტრონიკა; მიკროელექტრონიკა; ელექტროინჟინერია.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) პროფესორისთვის

- დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;
- სამეცნიერო პედაგოგიური მუშაობის და დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის, მინიმუმ, 6-წლიანი გამოცდილება.

ბ) ასოცირებული პროფესორისთვის

- დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;
- სამეცნიერო პედაგოგიური მუშაობის და დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის, მინიმუმ, 3-წლიანი გამოცდილება.

ბ) ასისტენტ-პროფესორისთვის

- დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;
- სასურველია დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის 2-წლიანი გამოცდილება.

სავალდებულო მოთხოვნები:

- ინგლისური ენის ცოდნა.

წარმოსადგენი დოკუმენტები:

- კურსის/კურსების სილაბუსი;
- CV-რეზიუმე;
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
- სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელი ცნობა;
- გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია;
- სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ბოლო 5 წლის განმავლობაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს კვალიფიციური პირი, პროფესიული ნიშნით. ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავების აუცილებელი კომპეტენცია.

კონკურსი ჩატარდება სამ ეტაპად:

I ეტაპი – წარმოდგენილი დოკუმენტების გადარჩევა;
II ეტაპი – პრეზენტაცია;
III ეტაპი – კონკურსის შეჯამება.

დაინტერესებულმა პირებმა, გთხოვთ, გამოაგზავნოთ მითითებული დოკუმენტები, ელფოსტის მისამართებზე:
hr@cu.edu.ge; nsulaberidze@cu.edu.ge

გთხოვთ, საგნის დასახელების ველში მიუთითოთ შესაბამისი აკადემიური თანამდებობის და მიმართულების სახელწოდება!

კავკასიის უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას, გადაამოწმოს თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია და დაუკავშირდეს მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებს.

საბუთების მიღება იწარმოებს 2017 წლის 28 ოქტომბრიდან 2017 წლის 28 ნოემბრის ჩათვლით

სკოლამდელი აღზრდა

როგორ ვიცავთ ბავშვების უსაფრთხოებას და როგორ გვიყვარს ისინი

ლალი ჯელაძე

ვიდრე საარჩევნო კამპანია „ფრთებს შლის“, ვიდრე საპატრიარქოს „მცველები და მოწინააღმდეგეები“ ერთმანეთის ლანძღვით ჯერ კიდევ არ დამცხრალან, ვიდრე ცეცხლი ანადგურებს ჩვენს უნიკალურ ბუნებას, ვიდრე ქალაქში გამონაბოლქვით ვიხრჩობით – ამასობაში ყველაზე მთავარი – ჩვენი მომავალი ყურადღების მიღმა რჩება. ორშაბათი დილა საზარელი ინფორმაციით იწყება. თბილისის ერთ-ერთ რეაბილიტირებულ საბავშვო ბაღში 3 წლის აღსაზრდელი მეორე სართულის ფანჯრიდან გადმოვარდა. ვრცელდება ინფორმაცია, რომ 206-ე ბაღის დირექტორი, სადაც ეს საზარელი ფაქტი მოხდა, თავს იმართლებს და თანაც ისე, რომ მომხდარში ბავშვს და მის მშობლებს „ადანაშაულებს“, რომ „ინკლუზიური ბავშვია“ (სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ტერმინიც არასწორია) და რომ მას უცნაური ქცევები ჰქონდა: *„ჩვენ მშობლებს ვუთხარით, რომ ბავშვი უცნაურად იქცეოდა და მისთვის ალტერნატიული ბაღი მოეძებნათ. ბავშვს უჭირდა მეტყველება“* – ამბობს დირექტორი და უარყოფს ინფორმაციას, თითქოს გოგონა უყურადღებოდ იყო მიტოვებული – *„შემთხვევის დროს აღმზრდელს ბავშვზე ხელი ეკიდა, ის გაუსხლტდა და გადმოხტა“*. **მარინა გოგოლაძე** სატელეფონო ინტერვიუში იმასაც ამბობს, რომ *„ბავშვი იყო ინკლუზიური და ყოველდღე ცდილობდა გადმოხტომას. დღეს დააგვირგვინა“*. კომენტარი ყველაფერს სცილდება, დაუჯერებელია ორი წლის ბავშვს სუიციდის მცდელობაზე ეფიქრა ან რა მნიშვნელობა აქვს ბავშვი სპეციალური საჭიროების არის თუ არა, მის უსაფრთხოებაზე ზრუნვა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ჩვეულებრივ ბავშვზე ზრუნვა.

ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი **თემურ თორდინავა** 206-ე საბავშვო ბაღში მომხდარ შემთხვევას უყურადღებობას უკავშირებს და ამბობს, რომ აცნობიერებს პასუხისმგებლობას, როგორც სააგენტოს ხელმძღვანელი. შსს-მ ზემო ფონიჭალაში, 206-ე ბაგა-ბაღის მეორე სართულიდან გადმოვარდნილი ბავშვის საქმეზე, გამოძიება 124-ე მუხლით დაიწყო, რაც გაუფრთხილებლობით ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს. ეს დანაშაული ისჯება ჯარიმით, ან გამასწორებელი სამუშაოთი ორ წლამდე ვადით, ან ორ თვემდე პატიმრობით.

თბილისის მერია 206-ე საბავშვო ბაღში მომხდარ შემთხვევას შემდეგი განცხადებით ეხმაურება: *„მიუხედავად იმისა, რომ თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო ძალისხმევას არ იშურებს ქალაქის მასშტაბით არსებულ ბაღებში უსაფრთხო გარემოსა და სივრცის შესაქმნელად, მოხდა ძალიან სამწუხარო შემთხვევა, რაც ყოვლად გაუმართლებელია.*

ბავშვის მდგომარეობა, ამ ეტაპზე, დამაკმაყოფილებელია და აღსაზრდელი ინგროყვას კლინიკაში საჭირო სამედიცინო პროცედურებს გადის.

თბილისის მერია გმობს მომხდარს და მიმართავს საგამოძიებო ორგანოებს, რაც შეიძლება სწრაფად გამოიძიონ აღნიშნული ფაქტი. ამასთანავე, თბილისის მერი ავალებს ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელს, გამოძიების დასრულებამდე, შეუჩეროს უფლებამოსილება ბაგა-ბაღის დირექტორსა და იმ აღმზრდელებს, რომლებიც ამ კონკრეტული შემთხვევისას უშუალოდ ახორციელებდნენ ზედამხედველობას სასწავლო პროცესზე.

მოვუწოდებთ ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს თანამშრომლებს, თავი შეიკავონ არაეთიკური განცხადებებისგან.

აღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებით, დედაქალაქის მერია მაქსიმალურად ითანამშრომლებს გამოძიებასთან.“

„დროა, ბაღებში ბავშვების უსაფრთხოებისთვის სპეციალური სტანდარტი გაიწეროს“ – ასე ეხმიანება მომხდარს არასამთავრობო ორგანიზაციის “პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის” წარმომადგენელი **ანა არგანაშვილი**. უფლებადამცველი მიიჩნევს, თუ ბაღის პედაგოგმა ან ადმინისტრაციამ დაინახა, რომ ბავშვს თვითდაზიანების მცდელობა ადრეც ჰქონდა, ეს ფაქტი უნდა შეესწავლა. მისი მოსაზრებით, დროა, ბაღებში სპეციალური სტანდარტი გაიწეროს.

ანა არგანაშვილი აღნიშნავს, რომ ასეთ განსაკუთრებულ შემთხვევაში ბაღმა შესაბამისი სერვისი უნდა უზრუნველყოს, კერძოდ, დამხმარე მასწავლებლის, ინდივიდუალური პროგრამისა და ფსიქოლოგის სერვისი.

„ბაღის ინციდენტზე ჩემი მოსაზრება:

1. ყველა ბავშვს, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს, აქვს უფლება, მიიღოს სკოლამდელი აღზრდა და განათლება. ეს უფლება გარანტირებულია ეროვნული კანონმდებლობით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით;

2. ბაღი ვერ ეტყვის ბავშვს უარს მიღებაზე იმიტომ, რომ სპეციალური საჭიროებები აქვს;

3. ბაღი და მთლიანად სახელმწიფო ვალდებულია, როდესაც სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვს იღებენ ბაღში, უზრუნველყონ მისთვის შესაბამისი სერვისიც: დამხმარე მასწავლებელი, ინდივიდუალური პროგრამა, ფსიქოლოგის სერვისი და ა.შ. ასევე, შეაფასონ საფრთხეები გარემოში, გამოწვევიდან გამომდინარე;

4. ბაღის პედაგოგმა ან ადმინისტრაციამ თუ დაინახა, რომ ბავშვს ჰქონდა თვითდაზიანების მცდელობა (გადმოხტომის მცდელობა), აუცილებლად უნდა შეესწავლა ეს ფაქტი, გამოეყო შესაბამისი რესურსი, ემუშავა შემთხვევაზე. ბავშვის სხვა ბაღში გადაყვანის მოთხოვნა გამოსავალი არ არის;

5. თუ თავად არ ჰქონდა შესაბამისი მომსახურება და რესურსი, მიემართა სახელმწიფო უწყებებისთვის: სოციალური სამსახური, ფსიქოლგიური დახმარების ცენტრები, თუნდაც ენჯეოებისთვის – დახმარებისთვის;

6. და თუ მაინც მოხდა ის, რაც მოხდა, მაშინ შესაბამისმა ორგანოებმა უნდა გამოიკვლიონ, ვის ჰქონდა პასუხისმგებლობა ამის პრევენციისთვის და არ იმოქმედა. იყო თუ არა მათთვის ცნობილი რისკი, რა გააკეთეს ამ რისკის თავიდან ასაცილებლად;

7. სისტემურად კი დროა, ბაღებში გაიწეროს სპეციალური სტანდარტი ბავშვების უსაფრთხოებისთვის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისთვის მომსახურების გაწევისთვის, შესაბამის დამხმარე (მაგ. ფსიქოლოგიური დახმარების) სერვისებში გადამისამართებისთვის და ა.შ. და შეიქმნას ამ სტანდარტების აღსრულების მექანიზმი, მონიტორინგის დამოუკიდებელი უწყება, სტანდარტების დარღვევაზე სანქცია და ა.შ.” – წერს ანა არგანაშვილი.

„ბავშვი ინგოროყვას კლინიკაში იმყოფება, მას ქალაქვინის ტრავმა და გულმკერდის ბლაგვი ტრავმა აქვს. ამ ეტაპზე, ოპერაციული ჩარევა არ ესაჭიროება, თუმცა მდგომარეობა ძალიან საყურადღებოა და ინტენსიურ მეთვალყურეობას საჭიროებს“ – აცხადებს **დავით სერგეენკო**.

და მაინც, სად არის პრობლემა? იქნებ გადასახედია ბაღების საქმიანობა, გადატვირთული ჯგუფები (40 ბავშვი და მეტი ერთ ჯგუფში), აღმზრდელთა და სპეცპედაგოგთა არასაკმარისი რაოდენობა, შესაძლოა – არასაკმარისი კომპეტენციებიც. ერთი კონკრეტული ადამიანისკენ ხელის გაშვერა და არც პოპულისტური განცხადებები შედეგს არ მოიტანს, პრობლემის სათავე უფრო გლობალურია. საბჭოთა განათლების შემდეგ ქვეყანამ, როგორც იქნა, 2016 წლის ზაფხულში მიიღო კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, რომლის ამოქმედების ვადა 2017 წლის 1 ოქტომბერია. კანონი გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით შემუშავდა და აწესრიგებს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობის, განვითარების და ხარისხის უზრუნველყოფის სამართლებრივ საფუძვლებს, სკოლამდელი დაწესებულებების ორგანიზაციულ სტრუქტურას, ადგენს მათი დაფუძნების, ავტორიზაციის, საქმიანობის, ანგარიშვალდებულებისა და ლიკვიდაციის წესს. კანონი განსაზღვრავს სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტებისა და სხვა იურიდიული/ფიზიკური პირების უფლებებს და ვალდებულებებს, ასევე, სკოლამდელი განათლების დაფინანსების სისტემასა და პრინციპებს.

კანონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლე უკავშირდება სახელმწიფო სავალდებულო სტანდარტების შემოღებას. 2018 წლის 31 დეკემბრამდე თითოეულმა საბავშვო ბაღმა როგორც კერძომ, ისე საჯარომ უნდა გაიაროს ავტორიზაცია ახალი სავალდებულო სტანდარტების მიხედვით. სტანდარტები სამინისტროების მიერ მუშავდება და, კანონის მიხედვით, საბოლოო სახით უახლოეს პერიოდში, არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა, უნდა დამტკიცდეს მთავრობის მიერ. მანამ კი, როგორც ვხედავთ, უამრავი გამოწვევის წინაშე დგას სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებები.

„პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ, ქვეყნის მასშტაბით, სკოლამდელ დაწესებულებებში დადის 3-5 წლის ასაკის ბავშვების მხოლოდ 62,3%. მუნიციპალიტეტები ვერ ახერხებენ მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილებას არასაკმარისი საბავშვო ბაღების გამო. ამავდროულად, ხელმისაწვდომობა არათანაბარია გეოგრაფიული ადგილისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით. კერძოდ, ქალაქებში 3-5 წლის ბავშვების 67,6% დადის, სოფლებში კი – მხოლოდ 55,1%; მდიდარი ოჯახების შემთხვევაში, მაჩვენებელი 70%-ია, რაც მნიშვნელოვნად მეტია ღარიბ ოჯახებთან შედარებით (51,8%).

მნიშვნელოვანი გამოწვევებია განათლების ხარისხის თვალსაზრისითაც – დაბალია საბავშვო ბაღების პერსონალის კვალიფიკაცია და პროფესიული კომპეტენციები, მცირეა პროფესიული განვითარების შესაძლებლობები, პრობლემებს ქმნის ბავშვების დიდი რაოდენობა ჯგუფებში, არადამაკმაყოფილებელი ინფრასტრუქტურა და ფიზიკური გარემო, არასაკმარისი სასწავლო და სათამაშო რესურსები და ა.შ.

აქამდე, სკოლამდელი დაწესებულებებისთვის არ არსებობდა არანაირი მინიმალური სტანდარტი ეროვნული მასშტაბით და თითოეული მუნიციპალიტეტი თავად იღებდა გადაწყვეტილებას ხარისხის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. შედეგად, ბავშვები სხვადასხვა დაწესებულებაში სრულიად განსხვავებულ, არათანაბარ პირობებში იმყოფებიან. სწორედ ამ პრობლემის გადასაჭრელად, ახალი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ კანონი ითვალისწინებს საერთო სტანდარტების შექმნას, რომელიც უნდა დამტკიცდეს, 2017 წლის 1 ოქტომბრამდე, მთავრობის მიერ და სავალდებულო იქნება ყველა საჯარო და კერძო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებისთვის.“ – ვკითხულობთ გაეროს ბავშვთა ფონდის სკოლამდელი განათლების სპეციალისტის, **ანა ჯანელიძის** ინტერვიუში.

სტანდარტის მოლოდინში, შემდეგ კი იმის მოლოდინში, თუ როგორ უზრუნველყოფს სახელმწიფო მის დამკვიდრებას, ისღა დაგვრჩენია, მშობლებმაც და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების თანამშრომლებმაც მაქსიმალური ყურადღება გამოვიჩინოთ და ვიზრუნოთ პატარების უსაფრთხოებაზე მაინც, რომ აღარაფერი ვთქვათ მათ განვითარებაზე. ნუ ვაქცევთ საბავშვო ბაღებს ბავშვების მხოლოდ დასატოვებელ ადგილად, რადგან უსაფრთხო და ბავშვზე მორგებული გარემოს შექმნა უპირველესი ადამიანური „სტანდარტია“, რომელსაც კანონიც კი არ სჭირდება!

* * *

დღის ბოლოს, ბაღის დირექტორი მარინა გოგოლაძე, ასევე აღმზრდელი და აღმზრდელის თანაშემწე თანამდებობიდან გათავისუფლდნენ.

„მონიტორინგის სამსახურის მოკვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ 206-ე საჯარო ბაღის მეორე სართულიდან ბავშვის გადმოვარდნა აღმზრდელისა და აღმზრდელის თანაშემწის მხრიდან უყურადღებობამ გამოიწვია.

აქედან გამომდინარე, მივიღე გადაწყვეტილება, თანამდებობიდან გავათავისუფლოთ 206-ე საბავშვო ბაღის დირექტორი. დირექტორის მოვალეობას დროებით მისი მოადგილე შეასრულებს,“ – განაცხადა თემურ თორდინავამ. მისივე თქმით, თანამდებობიდან ასევე გათავისუფლდნენ ჯგუფის აღმზრდელი და აღმზრდელის თანაშემწეც, რომელთა შესახებაც ბრძანებას, კანონის თანახმად, ახალი დირექტორი გამოსცემს.

გამოცდები 2017

თუ სკოლაში ეფექტურად არ მოვაწყვეთ სასწავლო პროცესი, ბუნებრივია, უმაღლესში ძალიან ბევრი პრობლემა გვექნება

მაია მიმინოშვილთან საუბარი, ახალი სასწავლო წლის დასაწყისში, ჩვენი გაზეთისთვის ერთგვარ ტრადიციად იქცა. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელთან ერთად ვაფასებთ გამოცდებს – ეროვნულს, საატესტატოსა თუ პედაგოგთა. წლების განმავლობაში, სურათი დიდად არ იცვლება და შეიძლება ესეც ერთგვარ ტენდენციად მივიჩნიოთ. არც წლევანდელი საგამოცდო ზაფხული იყო რაიმეთი გამორჩეული, განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ ძალიან მაღალი ტემპერატურა იყო და საგამოცდო ციებ-ცხელებას ცხელი ამინდებიც დაემატა...

– როგორი იყო წლევანდელი ეროვნული გამოცდები? წელს ოდნავ, მაგრამ მაინც მეტი აბიტურიენტი გახდა სტუდენტი, შარშანდელთან შედარებით...

– რაოდენობა, დაახლოებით იგივეა, რაც შარშან იყო, 28 ათასზე ოდნავ მეტი. თავისთავად გამოცდების პროცესს რაც შეეხება, ძალიან მშვიდ ვითარებაში ჩაიარა, არანაირი ხარვეზი არ დაფიქსირებულა, რაც ძალიან კარგია, რადგან ეს პროცესი, მნიშვნელოვანწილად, ჩვენგან დამოუკიდებლი მიზეზებით, ბევრ რამეზეა დამოკიდებული (ელექტროენერგია, ინტერნეტის სიჩქარე თუ სხვა). საგამოცდო ცენტრები იდეალურად უნდა იყოს მოწყობილი, რომ აპლიკანტებს არ შეექმნათ რაიმე პრობლემები. მიმაჩნია, რომ ყველაფერმა ძალიან კარგად ჩაიარა, ერთადერთი, თუ არ გავითვალისწინებთ, იმ „უკმაყოფილებას“, რაზეც გამოცდების დაწყებამდე დაიწყო საუბარი – რომ საგამოცდო ცენტრებში კონდიცირების სისტემა არ არის, რატომ არ არის, რომ უნდა იყოს და ა.შ. ეს იყო ერთადერთი, რაზეც, სიმართლე გითხრათ, უფრო გამოცდებამდე ვსაუბრობდით და არა გამოცდების პერიოდში. ერთადერთი დღე იყო, როდესაც მართლაც მაღალი იყო ტემპერატურა, ზოგადი უნარების გამოცდას დაემთხვა. რა თქმა უნდა, არ არის სასიამოვნო, როდესაც გარე ფაქტორები რაღაც ფორმით გიშლის ხელს, რომ მაქსიმალურად მოახერხო საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა. მაგრამ რეალობას უნდა გავუსწოროთ თვალი, მე, მაგალითად, ნამდვილად ვიქნებოდი ბედნიერი, შესაძლებლობა რომ გვქონდეს, წელიწადის სხვა დროს ჩავატაროთ ეროვნული გამოცდები, როცა თუნდაც მაღალი ტემპერატურა არ იქნება ხელის შემშლელი ფაქტორი. შემოდგომაზე ან გაზაფხულზე ეს ფაქტორი მოიხსნებოდა. სამწუხაროდ, ასე არ გამოდის იმიტომ, რომ სკოლები მაისის ბოლოს ამთავრებენ ფუნქციონირებას და უმაღლესი სასწავლებლები კი სექტემბერში იწყებენ. ერთადერთი პერიოდი ზაფხულია და ამას როგორღაც უნდა შევეგუოთ.

მეორე მხრივ, უნდა ვიცოდეთ, რომ ქვეყანაში ვერ მოვძებნით ისეთ შენობას, რომელიც სრულად კონდიცირებულია და რომელსაც საგამოცდო სექტორებად გამოვიყენებთ, ერთდროულად, 10 000 აპლიკანტს მივიღებთ. ასეთი შენობა ნამდვილად არ არსებობს, სკოლებს კონდიცირების სისტემა არ აქვს. იმასაც ამბობდნენ, რომ ზოგიერთ საგამოცდო ცენტრში არის კონდიცირების სისტემა და არ რთავენ, ასე ნამდვილად არ იყო. ორი უმაღლესი სასწავლებელი გამოვიყენეთ საგამოცდო ცენტრად: ბათუმის უნივერსიტეტი და ტექნიკური უნივერსიტეტი. სკოლებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, უმაღლეს სასწავლებლებშიც კი არ გვაქვს სათანადო პირობები.

სხვა არაფერი მახსენდება, რაც, მეტად თუ ნაკლებად, უკეთ მაყოფილების საგანი შეიძლება გამხდარიყო.

კონდიცირებაზე საუბარს კი იმით დავასრულებ, რომ ამ წლებმა ერთი რამ გვიჩვენა – როდესაც 15 აპლიკანტი ერთ სექტორში ზის, ყველას სხვადასხვა მოთხოვნა აქვს, მაგალითად, ხშირია შემთხვევები, როდესაც აპლიკანტთა გარკვეული ნაწილი ითხოვს ფანჯრის დახურვას იმიტომ, რომ უბერავს, მეორე ნაწილი კი ითხოვს გაღებას. ძალიან რთულია 10 000 აპლიკანტს, ერთდროულად, მოერგო და ზუსტად ის პირობები შესთავაზო, რაც მათ სურთ. ასე რომ, მე ამას პრობლემასაც ვერ დავარქმევდი – ზაფხულში ცხელა და სამწუხაროდ, სიცხეში გვიწევს ფუნქციონირება და არა მხოლოდ საგამოცდო ცენტრებში.

– გამოცდები რომ დაიწყო, თავიდან, აპლიკანტები კალმებს უჩიოდნენ...

რაც შეეხება კალმებს, სერიოზულად ვფიქრობ, თუ შესაძლებელი იქნა, მომავალი წლისთვის (რა თქმა უნდა ნებაყოფლობით), მივცეთ შესაძლებლობა აპლიკანტებს, სახლიდან მოიტანონ ზუსტად ისეთი პარამეტრების კალამი, რომელსაც სკანერი კითხულობს და ერთხელ და სამუდამოდ დავამთავრებთ ამაზე საუბარს. ყოველ წელიწადს ვყიდულობთ კალმებს იმაზე მეტს, რაც გვჭირდება, სწორედ იმიტომ, რომ ყველგან იყოს რეზერვი. როცა დიდი რაოდენობით ყიდულობ, ბუნებრივია, გარკვეული ნაწილი აუცილებლად არ იმუშავებს და მომენტალურად შეცვლის შესაძლებლობა რომ გვქონდეს, ყველა საგამოცდო ცენტრში და არა მხოლოდ საგამოცდო ცენტრში – ყველა სექტორში, რა თქმა უნდა, რეზერვია საჭირო. ბუნებრივია, თუ აპლიკანტი კალამს არ მოიტანს, ჩვენ დავახვედრებთ, მაგრამ თუ მოიტანს, მისი პასუხისმგებლობა იქნება, თუ სკანერს რაიმე პრობლემა შეექმნება – წაიკითხავს თუ არა პასუხების ფურცელს.

სხვა მხრივ, გასწორების პროცესიც, აპელაციაც, ჩარიცხვებიც – ყველაფერი ნამდვილად ისე წარიმართა, როგორც გვინდოდა.

28 000-ზე მეტი აბიტურიენტი გახდა სტუდენტი, გვყავს გარკვეული რაოდენობა ახალგაზრდებისა, რომლებმაც ბარიერი კი გადალახეს, მაგრამ უმაღლეს სასწავლებელში ვერ ჩაირიცხნენ, მათი რაოდენობა, დაახლოებით, სამასია. ერთი რამ მახარებს – ჩარიცხვების შემდეგ შევხვდი ამ ახალგაზრდების გარკვეულ ნაწილს და აღმოვაჩინე, რომ დიდ ნაწილს არ გამოუყენებია ჩვენი შეთავაზება, რაც შეიძლება მეტი უმაღლესი სასწავლებელი და მეტი ფაკულტეტი შემოხაზონ იმიტომ, რომ, საბედნიეროდ, მათ უკვე მკაფიოდ აქვთ ჩამოყალიბებული, სად უნდათ სწავლის გაგრძელება – რომელ უმაღლეს სასწავლებელში და რა მიმართულებით. მათთვის სულერთი არ არის, სად ჩაირიცხებიან. ასე რომ, ეს, ჩემთვის პირადად, ნამდვილად სასიხარულოა.

> *შეიმჩნევა ტენდენცია, რაც ჩემთვის ნამდვილად სამწუხაროა, რომ კლებულობს იმ აბიტურიენტების რაოდენობა, რომლებიც საგამოცდო საგნად მათემატიკას ირჩევენ. ადრე თუ ორი სრული ვარიანტი გვჭირდებოდა და მათემატიკის გამოცდაზე საგამოცდო ცენტრები მაქსიმალურად იყო დატვირთული, ახლა ერთი ვარიანტიც საკმარისია. წელს ერთი ვარიანტი გვქონდა.*

– ხომ არ მოხსნილან აბიტურიენტები გამოცდებიდან?

– ასეთი შემთხვევები იყო, მაგრამ ნამდვილად აპლიკანტების (მხოლოდ აბიტურიენტებს არ ეხებათ) მიზერული რაოდენობა მოიხსნა. ერთი-ორი შემთხვევა იყო, როდესაც, საგამოცდო წესების დარღვევის გამო, აპლიკანტი მოიხსნა გამოცდიდან. წინა წლებს თუ შევადარებთ, ნამდვილად მიზერული რაოდენობაა.

– წელს უფასო ფაკულტეტების ჩამონათვალი მოგვიანებით გამოქვეყნდა?

– მართალია, ჩამონათვალი ცოტა გვიან გამოქვეყნდა, მაგრამ აბიტურიენტებს მაინც ჰქონდათ გარკვეული დღეები იმისათვის, რომ კორექტივები შეეტანათ. ბუნებრივია, აპლიკანტმა, როცა რეგისტრაციას გადის, უნდა იცოდეს ყველა წესი და კარგი იქნებოდა, ჩამონათვალი თავიდან ყოფილიყო ცნობილი. თუმცა, მეორე მხრივ, თუ ახალგაზრდას სწავლის გაგრძელება უნდა, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, თუ სახელმწიფო აიღებს თავის თავზე ფინანსურ მხარდაჭერას, თუმცა, ახალგაზრდას, მეტ-ნაკლებად, ჩამოყალიბებული უნდა ჰქონდეს, რა უნდა და სად სურს სწავლის გაგრძელება. უფასო ფაკულტეტები არ უნდა იყოს თავშესაფარი და ის ადგილი, სადაც ახალგაზრდას სტუდენტი დაერქმევა. მაგალითად, თუ სახელმწიფო ფიზიკის ფაკულტეტს აფინანსებს იმიტომ, რომ ეს ქვეყნისთვის პრიორიტეტია, რა თქმა უნდა, იმ ახალგაზრდისგან ფიზიკოსი ვერ დადგება, რომელიც მხოლოდ იმიტომ აბარებს ამ ფაკულტეტზე, რომ უფასოდ ისწავლოს. ასე რომ, ნამდვილად მნიშვნელოვანი ინფორმაციაა, მაგრამ გადაწყვეტილება ახალგაზრდამ იმგვარად უნდა მიიღოს, რომ ჩამოყალიბდეს, რა უნდა და სად უნდა სწავლის გაგრძელება.

> *როცა კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ მოსწავლეების გარკვეული რაოდენობა, რიგ შემთხვევაში – 40-50%, დაბალი საფეხურის მიღმა აღმოჩნდება, რატომ უნდა გვქონდეს მოლოდინი, რომ სწავლის დასრულებისას უკეთეს შედეგს აჩვენებენ. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ძალიან ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი – სწორი და მიზანმიმართული – პირველ რიგში.*

შეიმჩნევა ტენდენცია, რაც ჩემთვის ნამდვილად სამწუხაროა, რომ კლებულობს იმ აბიტურიენტების რაოდენობა, რომლებიც საგამოცდო საგნად მათემატიკას ირჩევენ. ადრე თუ ორი სრული ვარიანტი გვჭირდებოდა და მათემატიკის გამოცდაზე საგამოცდო ცენტრები მაქსიმალურად იყო დატვირთული, ახლა ერთი ვარიანტიც საკმარისია. წელს ერთი ვარიანტი გვქონდა.

გაიზარდა აბიტურიენტთა რაოდენობა, მაგალითად, გეოგრაფიაში, თავიდან ერთი ვარიანტი გვქონდა, ახლა უკვე სამი ვარიანტი გვჭირდება, იმდენი აბიტურიენტი ირჩევს გეოგრაფიას.

– რაიმე ცვლილება ხომ არ იგეგმება ეროვნულ გამოცდებზე?

– უკვე დაიწყო ახალი ციკლი და ვემზადებით 2018 წლის გამოცდებისთვის. ინტენსიურად ვმუშაობთ იმაზე, რომ დახურულბოლოიანი დავალებები ელექტრონულად შევთავაზოთ აბიტურიენტებს, თუმცა ბევრ პრობლემას ვაწყდებით (ამ შემთხვევაში, არ ვგულისხმობ იმას, რამდენად მზად არის ცენტრი, რომ აპლიკანტებს ასეთი მომსახურება შესთავაზოს). ძალიან მნიშვნელოვანია თავად მათი დამოკიდებულება ასეთი ფორმის გამოცდისადმი იმიტომ, რომ აქაც არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა, გარკვეულ ნაწილს ურჩევნია ქაღალდზე შეავსოს ტესტი, გარკვეულ ნაწილს – პირდაპირ ელექტრონულად გასცეს პასუხები. ამაზეც ძალიან სერიოზულად უნდა ჩამოვყალიბდეთ. თუმცა, ჩვენ ნამდვილად ინტენსიურად ვმუშაობთ იმისათვის, რომ გარკვეული ნაწილი მაინც გადავიდეს სრულად ელექტრონულ ფორმატში. ეს ძალიან მომგებიანი იქნება აბიტურიენტებისთვის. თუ ზოგადი უნარების გამოცდას სრულად ელექტრონულად ჩავატარებთ, ჩვენს აბიტურიენტებს შესაძლებლობა ექნებათ, მომენტალურად გაიგონ შედეგი და არ ელოდონ თვეობით. ეს მნიშვნელოვანი პლუსია ამ სისტემის.

თუ რაიმე სიახლეს შევთავაზებთ ჩვენს აბიტურიენტებს, შინაარსობრივ თუ საგამოცდო პროცესთან დაკავშირებულს, ნოემბრის დასაწყისში აუცილებლად ვაცნობებთ მათ.

– შესაძლებელია წელს უნარების ტესტირება სრულად ელექტრონულ ფორმატზე გადავიდეს?

– საბოლოო ჯამში, როგორ არ შეიძლება და ძალიან კარგიც იქნება. ჩვენი მხრიდან, მოგახსენეთ, რომ ინტენსიურად ვმუშაობთ. თქვენ იცით, რომ მთელ ამ პროცესს თან სდევს ძალიან სერიოზული პროგრამული უზრუნველყოფა და, ბუნებრივია, ძალიან ბევრი კორექტივები და ცვლილებები უნდა შევიდეს თვითონ საგამოცდო პროცესის პროგრამაში. რისკის ქვეშ არ უნდა დავაყენოთ საგამოცდო პროცესი. გარკვეული ცვლილებების გამო, ხარვეზებით რომ არ წარიმართოს პროცესი, სრულად უნდა ვიყოთ დარწმუნებულები, რომ ყველაფერი გამართულად მუშაობს. ამაში რომ დავრწმუნდეთ, არაერთი აპრობაცია და პილოტირება უნდა ჩავატაროთ. თუ ყველაფერი მზად გვექნება, დავუშვათ, იანვარში და შესაძლებლობა მოგვეცემა, რომ თებერვალში, მარტში, აპრილში ახალი სისტემა კარგად გამოვცადოთ, ბუნებრივია, შესაძლებელი იქნება 2018 წლიდან შევიდეს ცვლილება, თუ არადა, მომავალ წელსაც იმავე ფორმატით ჩატარდება, როგორც წელს.

– რაც შეეხება საატესტატო გამოცდებს, წელს არასახარბიელო შედეგი დადგა...

– წინა წლებს თუ შევადარებთ, სულაც არ არის დიდად განსხვავებული სურათი. არასასიამოვნო რომ არის და თითოეული ჩვენგანისთვის არასახარბიელო ის შედეგი, რაც გვაქვს, ეს ბუნებრივია, მაგრამ ის, რომ 2017 წლის შედეგი, წინა წლებისგან დიდად განსხვავდებოდა, ასე ნამდვილად არ არის.

ძალიან ცუდია, როდესაც 11 000-მდე მოსწავლე ვერ ახერხებს, ერთ სავალდებულო საგანში მაინც, მიზერულზე მიზერული ბარიერის გადალახვას. საატესტატო გამოცდები ხომ მინიმალურზე მინიმალურ კომპეტენციებს ამოწმებს. საუბარი რომ არის იმაზე, საბოლოო ჯამში, ეს გამოცდა რას ამოწმებს, პირდაპირ ვამბობ – მინიმალურზე მინიმალურ კომპეტენციას სავალდებულო საგანში. აქ არ არის საუბარი მაღალ სააზროვნო უნარებზე და ა.შ. (ამისთვის სკოლა არსებობს, რომელიც უწერს შესაბამის ნიშანს და აფასებს საკუთარ მოსწავლეს), საუბარია იმაზე, აქვს თუ არა მოსწავლეს მინიმალური კომპეტენცია კონკრეტულ საგანში და არის თუ არა ღირსი, მიიღოს ატესტატი.

რასაკვირველია, ბევრი რამაა გამოსასწორებელი, მაგრამ რა არის გამოსასწორებელი და როგორ არის გამოსასწორებელი, ამაზე გამოცდების შედეგებით არ უნდა ვიმსჯელოთ. ჩვენი ორგანიზაცია ძალიან ბევრ საგანმანათლებლო კვლევას ატარებს და პასუხები სწორედ ამ კვლევების შედეგებში უნდა ვეძიოთ. იმ დროს, როცა მეცხრეკლასელების ძალიან დიდი რაოდენობა ვერ ადასტურებს მინიმალურზე მინიმალურ კომპეტენცი-

გამოცდები 2017

ას საბუნებისმეტყველო საგნებში, რატომ ველოდებით, რომ მეთორმეტე კლასში უკეთესი შედეგი გვექნება. ეს ხომ არარეალისტური იქნებოდა, ეს ხომ არ იქნებოდა ანარეკლი იმისა, რა პრობლემებსაც ვეჯახებით სკოლის პერიოდში.

არსებობს ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელიც სავალდებულოა შესრულდეს ყველა სკოლაში. ესგ-ს მიხედვით, ვადგენთ იმ მინიმალურ კომპეტენციებს, რაც შემდეგ გამოცდაზე მოეთხოვება მოსწავლეს. აშკარაა, რომ რაღაც ძალიან სერიოზული ხარვეზი და პრობლემა გვაქვს სასკოლო განათლების საფეხურზე, როცა ვერ ხერხდება (სკოლების უმრავლესობას ვგულისხმობ) ეროვნული სასწავლო გეგმის ათვისება, იმ ამოსავალი და ოფიციალური დოკუმენტის, რომელიც დამტკიცებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, როგორც ყველა სკოლისთვის სავალდებულო დოკუმენტი.

პირველ რიგში, კვლევის შედეგებს უნდა შევხედოთ იმიტომ, რომ კვლევა გვაძლევს პრობლემების კომპლექსურად შეფასების შესაძლებლობას. უამრავი ფაქტორია, რომელიც პირდაპირ ზეგავლენას ახდენს მოსწავლეების მიღწევებზე. ბუნებრივია, საუბარი მხოლოდ ეროვნულ სასწავლო გეგმაზე არ არის. კვლევის შედეგები ყველა ფაქტორის მიხედვითაა გაანალიზებული და კითხვაზე, რომელიც ყველას გვიჩნდება – რატომ ხდება ისე, რომ ჩვენი მოსწავლეები ვერ ახერხებენ უკეთესი შედეგის მიღწევას? – ბუნებრივია, პასუხი აქ უნდა მოვძებნოთ და ამის მიხედვით დავგეგმოთ შემდგომი ნაბიჯები.

ისევ ვიმეორებ, როცა კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ მოსწავლეების გარკვეული რაოდენობა, რიგ შემთხვევაში – 40-50%, დაბალი საფეხურის მიღმა აღმოჩნდება, რატომ უნდა გვქონდეს მოლოდინი, რომ სწავლის დასრულებისას უკეთეს შედეგს აჩვენებენ. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ძალიან ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი – სწორი და მიზანმიმართული – პირველ რიგში.

– მოსწავლეთა წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, ალბათ, პედაგოგთა კვალიფიკაცია...

– ერთ-ერთი არის, რა თქმა უნდა. როცა მასწავლებლის კვალიფიკაციაზე ვსაუბრობთ, ეს ჩვენი თვითმიზანი ხომ არ არის, კვალიფიციური პედაგოგი გვჭირდება იმისთვის, რომ მოსწავლემ უკეთესი შედეგები აჩვენოს, მარტივი ენით რომ ვთქვათ, კარგად ისწავლოს.

– გარკვეულ სურათს პედაგოგთა გამოცდებიც ხომ იძლევა?

– ახალი მიდგომაა სამინისტროს მხრიდან – პრაქტიკოსი პედაგოგი, ყველა შემთხვევაში, ადასტურებს კომპეტენციას. პედაგოგთა კვალიფიკაცია ერთ-ერთი ფაქტორია, მაგრამ არა ერთადერთი და არა ყველაზე მნიშვნელოვანი. ისევ ვიმეორებ, თუ ეროვნული სასწავლო გეგმა არარეალისტურია (პირობითად ვამბობ), რა თქმა უნდა, მასწავლებელს გაუჭირდება მისი შესრულება. თუ მასწავლებელს გაუჭირდება მისი შესრულება, ბუნებრივია, ეს უკვე მოსწავლეების შედეგებზეც აისახება. რა თქმა უნდა, მასწავლებელმა უნდა მოახერხოს მოსწავლის მოტივაციის გაზრდა სწავლისადმი, მაგრამ მხოლოდ მასწავლებელი ვერაფერს იზამს. მრავალი ფაქტორი იჩენს თავს – ოჯახის, სოციოეკონომიური, სკოლის ინფრასტრუქტურა, სასკოლო რესურსები და სხვ. საქმე ასე მარტივად არ არის, რომ ვთქვათ, რადგან მასწავლებლის კვალიფიკაცია ასეთია, ამიტომ გვაქვს ასეთი შედეგი. თუმცა, გავიმეორებ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ვინ უნდა ჩამოუყალიბოს მოსწავლეს სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულება? მხოლოდ მასწავლებელი ამას ვერ გააკეთებს. მასწავლებელი იქნება, სკოლა, ოჯახი თუ გარემო, ყველაფერი, ბუნებრივია, შემდეგ უკვე ერთ პრობლემად იყრის თავს. ჩვენ, როგორც წესი, საუბარს ვიწყებთ პრობლემაზე, როცა გამოცდების შედეგი არ გვაკმაყოფილებს. და თუ კითხვას ვსვამთ – რატომ გვაქვს ასეთი შედეგი, გამოცდების შედეგებზე კი არ უნდა ვილაპარაკოთ, უკან მოვიხედოთ – აქამდე როგორ მოვიდა მოსწავლე, გავაკეთეთ კი ყველაფერი იმისთვის, რომ უკეთესი შედეგი გვქონოდა? ერთმნიშვნელოვნად ვამბობთ არას, მაგრამ რა არ გავაკეთეთ კარგად, ამას ხომ უნდა გავუსწოროთ თვალი, გავაანალიზოთ და გამოვასწოროთ?! ბუნებრივია, მოსწავლეთა შედეგები, მნიშვნელოვანწილად, ჩვენს ნაბიჯებზეა დამოკიდებული (ქვეყანას და განათლების სისტემას ვგულისხმობ) და თავისთავად, ბუნებრივად გამოსწორდება, თუ სწორ ნაბიჯებს გადავდგამთ და საშუალო განათლების საფეხურს იმგვარად მოვაწყობთ, რომ ასეთი არასახარბიელო შედეგი არ მივიღოთ.

რა თქმა უნდა, უმაღლესი განათლება ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ არაერთხელ მითქვამს და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, სასკოლო განათლების საფეხური უმნიშვნელოვანესია, უმაღლესი განათლების ბაზისია. საიდან მიდიან ახალგაზრდები უმაღლეს სასწავლებლებში? სკოლებიდან. თუ სკოლაში არ მოვაწყვეთ კარგად და ეფექტურად სასწავლო პროცესი, ბუნებრივია, უმაღლესშიც ძალიან ბევრი პრობლემა გვექნება.

– რამდენად მნიშვნელოვანია წინასასკოლო განათლება?

– უმნიშვნელოვანესია, მაგრამ, სამწუხაროდ, აქამდე ნაკლები ყურადღება ექცეოდა, თითქოსდა უმნიშვნელო საფეხურია. ვერ წარმოიდგენთ, რას გვიჩვენებს კვლევის შედეგები – წინასასკოლო განათლების პრობლემები მეცხრეკლასელებზეც კი აისახება, არათუ დაწყებით საფეხურზე. მოსწავლის წინასასკოლო მზაობა პირდაპირ განაპირობებს მის წარმატებას, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, დაწყებით საფეხურზე და, რაც არ უნდა გაგვიკვირდეს, ძალიან სერიოზული კორელაციაა მეცხრე კლასის შედეგებთან. ეს ხომ უწყვეტი პროცესია, ბავშვი ძალიან პატარა ასაკიდან იწყებს აზროვნებას და ძალიან სწორად უნდა წარვმართოთ ეს პროცესი მთლიანად, თანაბრად მნიშვნელოვანია წინასასკოლო მზაობა და დაწყებითი საფეხური. თუ ეს ყველაფერი სათანადოდ გამოსწორდა, გაცილებით მარტივი იქნება პრობლემების გამოსწორება ზედა საფეხურებზე იმიტომ, რომ ამ ბავშვებს უკვე ექნებათ ძალიან სერიოზული ბაზისი იმისათვის, რომ გაუმკლავდნენ უფრო რთულ ამოცანებს.

მე ოპტიმისტი ვარ ბუნებით და მგონია, რომ შესაძლებელი იქნება ვითარების გამოსწორება. შეუძლებელი არაფერია, უბრალოდ სერიოზული ძალისხმევა გვჭირდება და ძალიან დიდი მონდომება, პირველ რიგში, გაცნობიერება, რომ ეს თითოეულ ჩვენგანს ეხება იმიტომ, რომ ჩვენს შვილებს ეხება და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. განათლების სისტემა თუ არ გამოსწორდა ქვეყანაში და სათანადოდ არ განვითარდა, არანაირი მიმართულებით არ განვითარდება ქვეყანა (არც ეკონომისტები გვეყოლება, არც ფინანსისტები, არც პოლიტიკოსები...).

– თითქმის ყოველ წელს, საატესტატო გამოცდების პერიოდში იწყება მსჯელობა, საჭიროა თუ არა საატესტატო გამოცდები ან თუ საჭიროა, რა ფორმით...

– რაც შემოვიდა გამოსაშვები გამოცდები, იმთავითვე ვამბობდით, რომ არ არის სწორი ახალი საგამოცდო სისტემის შემოტანა იმ დროს, როცა გამოსასწორებელია ძალიან სერიოზული და მნიშვნელოვანი პრობლემები სასკოლო განათლების საფეხურზე. გადაწყვეტილება მაშინდელმა მინისტრმა მიიღო, ჩვენ ვალდებული ვიყავით, შეგვეთავაზებინა გამოსაშვები გამოცდების გარკვეული სისტემა. შევთავაზეთ ის, რაც გვაქვს ახლა – თითქოსდა მარტივი სისტემა, იმავდროულად, ძალიან რთული, კომპლექსური, კომპიუტერზე ადაპტირებული ტესტირება. ამ ფორმით, ასეთი ფართო მასშტაბით, ეს საგამოცდო სისტემა, ხმამაღლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ არც ერთ ქვეყანაში არ გამოყენებულა (მცირე ზომით კი). ეს სისტემა ასეც მოიხსენიება – „ჯორჯიან ქეის“. რატომ კომპიუტერზე ადაპტირებული ტესტირება? იმიტომ, რომ მაქსიმალურად ზუსტად ერგება კონკრეტული მოსწავლის შესაძლებლობას და გადალახულად ეთვლება ბარიერი, თუ ის მინიმალურზე მინიმალურ კომპეტენციას მაინც ადასტურებს. „ერგებაში“ იგულისხმება, რომ ძალიან მარტივი დავალებები მიეწოდება, თუ ის ვერ ახერხებს ოდნავ უფრო რთული დავალებების გადაწყვეტას და საკმარისია, დაახლოებით, 14-15 უმარტივეს დავალებაზე გასცეს პასუხი და ბარიერი გადალახულად ეთვლება. ასეთი დაბალი ბარიერი რომ არ დაგვედგინა და ე.წ. წრფივი ტესტები მიგვეწოდებინა მოსწავლეებისთვის, ლოჯისტიკურ პრობლემასაც შექმნიდა, ბუნებრივია, რადგან ყველა სკოლაში ტარდება გამოსაშვები გამოცდები და პრაქტიკულად შეუძლებელია გააკონტროლო მთლიანად პროცესი. ამ სისტემით კი ყველა მოსწავლეს სხვადასხვა დავალება მისდის და, დავუშვათ, ერთმანეთის დახმარების ან კარნახის პრობლემასაც ვხსნით. წრფივი ტესტი რომ შეგვეთავაზებინა, იქ მარტივი დავალებებიც არის და რთულიც, ბუნებრივია რთული იქნებოდა მოსწავლეებისთვის, ასე ვთქვათ, გამკლავებოდნენ ამ ტიპის ტესტს. კომპიუტერზე ადაპტირებული ტესტირების დროს „სუსტ“ მოსწავლეს მისთვის მორგებული დავალებები მისდის. თუ მოსწავლე კარგია, მაშინ მას ოდნავ უფრო რთული დავალებები მიეცემა, თუ ბრწყინვალეა – რთულ დავალებებსაც გაართმევს თავს. ამიტომაც, ბარიერი, საშუალო მაჩვენებელთან ახლოს რომ ყოფილიყო, თქვენ წარმოიდგინეთ, მოსწავლეების 60-70% ატესტატს ვერ მიიღებდა. ამიტომაც შეგნებულად, ბუნებრივია, ძალიან დაბალი ბარიერი ავირჩიეთ სწორედ იმიტომ, რომ მოსწავლის ბრალი არ არის, ატესტატს რომ ვერ იღებს (პირდაპირ ვთქვათ), ჩვენი, ყველას ბრალია, რადგან ვერ ვახერხებთ მოსწავლეს თუნდაც მოტივაცია გავუჩინოთ სწავლისადმი, თუნდაც სათანადოდ გადავცეთ ცოდნა.

რაც შეეხება საატესტატო და უმაღლესში მისაღები გამოცდების გაერთიანებას, ყველაფერი შესაძლებელია, ბუნებრივია, იმიტომ რომ, მოდელები უამრავი არსებობს. თუ საატესტატო გამოცდების შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ ველოსიპედი გამოვიგონეთ, ამ შემთხვევაში, შეიძლება ველოსიპედის გამოგონებაც არ დაგვჭირდეს, ყველანაირი ტიპის გამოცდები არსებობს. ერთადერთი, არაფრით არ შეიძლება ჩვენი ორი მოდელის გაერთიანება. ბევრი ვისაუბრეთ, რა მიზანს ისახავს გამოსაშვები გამოცდები, არსებული რეალობიდან გამომდინარე, ალბათ დამეთანხმებით, რომ შეუძლებელია უმაღლეს სასწავლებელში მიიღო ახალგაზრდა, რომელსაც საბაზისო უნარებს არ შეუმოწმებ, შეუძლია თუ არა პროდუცირება ან ლოგიკური ჯაჭვის აწყობა ამოცანის ამოხსნისას, კიდევ უამრავი რამ არის მნიშვნელოვანი. ავიღოთ, მაგალითად, უცხო ენის გამოცდა, რას ნიშნავს – ენას ფლობს, მხოლოდ და მხოლოდ, თუნდაც წაკითხულის გააზრებას შეუმოწმებ ან მხოლოდ გრამატიკას თუ ლექსიკას? არსებობს ბევრი სხვა რამ, რაც თანაბრად მნიშვნელოვანია ენაში, იქნება ეს მოსმენა, ლაპარაკი, წერითი ნაწილი თუ კითხვა. ლაპარაკის გარდა, ეროვნულ გამოცდებზე სამივეს ვამოწმებთ. რა თქმა უნდა, ძალიან კარგი იქნება მეოთხესაც თუ დავამატებთ, უბრალოდ, არსებული რეალობიდან გამომდინარე, ლაპარაკის ნაწილი ჯერ მხოლოდ პედაგოგებთან გვაქვს. თუნდაც წერის გარეშე ან მოსმენის გარეშე შეუძლებელია ითქვას, რომ ახალგაზრდა, თუნდაც მინიმალურ დონეზე, ფლობს ენას. შეიძლება მომავალ ფილოლოგს ერთი წინადადება არ დააწერინო, ისე მიიღო უმაღლეს სასწავლებელში, ან მომავალ მათემატიკოსს თუ ფიზიკოსს ამოცანა არ ამოახსნევინო და თვალნათლივ არ ნახო, რომ ეს ადამიანი მათემატიკურად აზროვნებს და ამოცანას ხსნის?! მაშინ სულ მოვხსნათ გამოცდები, მე წინააღმდეგი არ ვარ, ოღონდ ასე ხელოვნურად ამ ორი მოდელის გაერთიანება, რა თქმა უნდა, შეუძლებელია.

საგამოცდო სისტემა ემსახურება თვითონ განათლების სისტემას და საფეხურებს. უნდა ჩამოვყალიბდეთ, რა გვინდა კონკრეტული საგამოცდო სისტემისგან, ეს ძალიან ნათელი და მკაფიო უნდა იყოს, თორემ თვითმიზანი და იდეაფიქსი ხომ არ არის, ახალი საგამოცდო მოდელის გამოგონება?! საგამოცდო სისტემა რაღაცას უნდა ემსახურებოდეს. თუ მკაფიოდ ჩამოვაყალიბეთ, რა გვინდა, ნამდვილად არ გაუჭირდება ჩვენს ორგანიზაციას ახალი საგამოცდო მოდელის მორგება. არ შეიძლება ჯერ საგამოცდო სისტემა შევცვალოთ და მერე ვიფიქროთ, რა ცვლილებები განვახორციელოთ საფეხურებზე. ეს მცდარი მიდგომაა.

წლების განმავლობაში, ჩვენმა ორგანიზაციამ უზარმაზარი გამოცდილება შეიძინა. როდესაც დადგა ამ საგამოცდო მოდელის საჭიროება, გავაკეთეთ, უკვე არაერთი მოდელი მოგვიმზადებია და მომავალშიც ასე იქნება. ოღონდ ბევრი წინაპირობა სჭირდება იმას, თუ როგორი იქნება ეს გამოცდები, ჩამოვყალიბდეთ საზოგადოება და ჩვენ მზად ვართ, ეს ყველაფერი გავაკეთოთ.

– პედაგოგების გამოცდებზე რას იტყოდით...

– 27 ათასამდე პედაგოგი იყო რეგისტრირებული, აქედან ნაწილი პრაქტიკოსი პედაგოგი იყო, ნაწილი – პედაგოგობის მსურველი. პედაგოგობის მსურველი აბარებდა გამოცდას, პრაქტიკოსი პედაგოგი ადასტურებდა კომპეტენციას. გამოცდაზე მესამედი არ გამოცხადდა, როგორც ყოველთვის. ამას, მე მგონი, არაფერი ეშველება, უნდა გვქონდეს მოლოდინი, რომ, როგორც წესი, რეგისტრირდებიან და მერე რატომღაც გამოცდებზე არ გამოდიან. შედეგები არის ის, რომ ყველამ, ვინც გამოვიდა პრაქტიკოსი პედაგოგი, დაადასტურა კომპეტენცია, მომავალი პედაგოგების გარკვეულმა ნაწილმა ბარიერი ვერ გადალახა.

საგამოცდო სისტემა ემსახურება თვითონ განათლების სისტემას და საფეხურებს. უნდა ჩამოვყალიბდეთ, რა გვინდა კონკრეტული საგამოცდო სისტემისგან, ეს ძალიან ნათელი და მკაფიო უნდა იყოს, თორემ თვითმიზანი და იდეაფიქსი ხომ არ არის, ახალი საგამოცდო მოდელის გამოგონება?! არ შეიძლება ჯერ საგამოცდო სისტემა შევცვალოთ და მერე ვიფიქროთ, რა ცვლილებები განვახორციელოთ საფეხურებზე. ეს მცდარი მიდგომაა.

გამოცდების შედეგებზე კი არ უნდა ვილაპარაკოთ, უკან მოვიხედოთ – აქამდე როგორ მოვიდა მოსწავლე, გავაკეთეთ კი ყველაფერი იმისთვის, რომ უკეთესი შედეგი გვქონოდა? ერთმნიშვნელოვნად ვამბობთ არას, მაგრამ რა არ გავაკეთეთ კარგად, ამას ხომ უნდა გავუსწოროთ თვალი, გავაანალიზოთ და გამოვასწოროთ?! ბუნებრივია, მოსწავლეთა შედეგები, მნიშვნელოვანწილად, ჩვენს ნაბიჯებზეა დამოკიდებული (ქვეყანას და განათლების სისტემას ვგულისხმობ) და თავისთავად, ბუნებრივად გამოსწორდება, თუ სწორ ნაბიჯებს გადავდგამთ და საშუალო განათლების საფეხურს იმგვარად მოვაწყობთ, რომ ასეთი არასახარბიელო შედეგი არ მივიღოთ.

ესაუბრა
ლალი თვალაბეიშვილი

ეროვნული გამოცდები

შრომით მიღწეული „საუკეთესოს“ ტიტული

ლალი ჯელაძე



წელს უმაღლეს სასწავლებლებში ჩაირიცხა 28 176 სტუდენტი, 394-ით მეტი ვიდრე 2016 წელს, აქედან 10 598 სტუდენტი დაფინანსდა, წინა წელთან შედარებით 224-ით მეტი შეუდგება სწავლას.

უფასო ფაკულტეტებზე 4051 სტუდენტი ჩაირიცხა, 100% გრანტით – 1009, 70%-იანი გრანტით 1457, 50%-იანი გრანტით – 4081. ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე 673 აზერბაიჯანულენოვანი და 373 სომხურენოვანი ახალგაზრდა.

გაიზარდა მსურველთა რაოდენობა ბოლო წლების ნაკლებად მოთხოვნად პროფესიებზე, მათ შორის – აგრარულ მიმართულებებსა და მედიცინაზე. აბიტურიენტების მიერ, ყველაზე მოთხოვნად ფაკულტეტებად წელს გამოვლინდა: ბიზნესი, სამართალი (სამართალმცოდნეობა), საერთაშორისო ურთიერთობები, ქართული ფილოლოგია და ისტორია.

ერთიან ეროვნულ გამოცდებში გამოვლენილი ორი ყველაზე მაღალქულიანი სტუდენტი: ნათია ინაძე (ქართული – 77/80, ინგლისური – 90/90, უნარები – 77/80, ბიოლოგია – 67/70) და სერგი ბეთხოშვილი (ქართული 77/80, უნარები 77/80, ინგლისური 90/90, ქიმია – 75/75) იმ წარმატების საწინდარზე გვესაუბრებიან, რომელმაც 28 176 სტუდენტში გამოარჩიათ. ნათია მიხეილ ჯავახიშვილის სიტყვებს იშველიებს: „ყოველივეს სჯობია სამი რამ: პირველი – შრომა, მეორე – შრომა და მესამე – ისევ შრომა. აი, ჩემი წარმატების საწინდარი. რა თქმა უნდა, გონებრივი შესაძლებლობები, ოჯახი, სკოლა, თანატოლები – ეს ყველაფერი გავლენას ახდენს, თუმცა, მთავარი მაინც შენ ხარ, შენი ნებისყოფითა და მონდომებით.“ სერგის აზრით კი, „ამ შედეგისთვის მოტივაცია და შრომაა საჭირო, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია გამოცდის პროცესის დროს მობილიზება.“

გზის დასაწყისი

ნათია: 2017 წელს დავამთავრე ფოთის მე-15 საჯარო სკოლა, რომელმაც უდიდესი გამოცდილება მომცა და უამრავი რამ მასწავლა. სამართლიანი ვიქნები და გულწრფელად ვიტყვი, რომ ამ სკოლაში რომ არ მევლო, მეეჭვება თუნდაც იმ შედეგებისთვის მიმეღწია ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, რომელთა დამსახურებითაც ახლა ამ ინტერვიუს ვწერ. მე-15 სკოლას ჰყავს პედაგოგიური კოლექტივი, რომელიც მუდმივად ცდილობს, შენი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოგავლენინოს და საკუთარი თავისთვის ლიმიტების დადგენაზე ხელი აგაღებინოს. ეს რთულია, არცთუ ყველა მოსწავლისთვის მისაღები და შესაძლებელი, ამიტომაცაა რომ აქ გამორჩეული მოსწავლეები ამთავრებენ მე-12 კლასს და სახელმწიფო დაფინანსებით უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულთა პროცენტული მაჩვენებელიც, ყოველწლიურად, საშუალოზე ბევრად მაღალია.

სერგი: დავამთავრე ქალაქ რუსთავის 22-ე საჯარო სკოლა, სკოლით საკმაოდ კმაყოფილი ვარ, დღევანდელი განათლების სისტემის პირობებში საკმაოდ კარგი ცოდნა მომცა.

საყვარელი მასწავლებელი

ნათია: ერთი გამორჩეულად საყვარელი მასწავლებელი არასდროს მყოლია, ყოველთვის ვცდილობდი, ყველა მათგანში საუკეთესო დამენახა და შემყვარებოდა, რაც საგნის სიყვარულსაც უწყობდა ხელს. თუმცა, ალბათ, მაინც გამოვარჩევდი ისტორიის პედაგოგს – ნონა ჩხეიძეს. ვფიქრობ, სწორედ საკუთარი პროფესიისადმი გამორჩეული, განსაკუთრებული სიყვარულითა და დაუზარებლობით დაიმკვიდრა ეს ადგილი ჩემს წარმოდგენაში. მეხუთე კლასის პირველივე გაკვეთილზე გამიჩინა საოცრად დადებითი დამოკიდებულება ისტორიისადმი – ამისთვის უღრმესი მადლობა მას.

აქვე გამოვიყენებ შესაძლებლობას და ჩემი განათლებისთვის მიძღვნილი თითოეული დღისთვის მადლობას გადავუხდი ჩემს სკოლას, მასწავლებლებს, დირექტორსა და სასწავლო ნაწილს, მომავალ წარმატებებს ვუსურვებ მათ და, თუკი რამე შემიძლია, დახმარების სურვილსაც გამოვთქვამ.

CATI + ერთიანი ეროვნული გამოცდები და რეპეტიტორები

ნათია: ვფიქრობ, საატესტატო გამოცდების სისტემა საკმაოდ გამართულია და დანიშნულებასაც კარგად ასრულებს. მართალია, ბარიერი დაბალია და მის გაზრდასთან დაკავშირებით პოლემიკა არ წყდება, თუმცა, ვფიქრობ, სრული ზოგადი განათლების ატესტატის ასაღებად არსებული ბარიერი ნორმალურია და შეცვლას არ საჭიროებს. საატესტატო გამოცდებიდან მხოლოდ 12 საგანში გადავწყვიტე რეპეტიტორებთან მომზადება, დანარჩენები კი დამოუკიდებლად ჩავაბარე და თითქმის ყველა მათგანში უმაღლესი შეფასებაც მივიღე. ასე რომ, მართალია, საატესტატო გამოცდებზე ბარიერის გადალახვა მარტივია, მაღალი ქულის მიღება კი – შედარებით რთული, თუმცა შრომით ყველაფერი მიიღწევა. ჩემი შემთხვევა ამის ნათელი მაგალითია.

დიახ, ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის რეპეტიტორებთან ვემზადებოდი, თუმცა ამ პრაქტიკის დიდი მომხრე არ გახლავართ. ზოგადი უნარების მათემატიკური ნაწილის, ქართული ენისა და ლიტერატურის, ბიოლოგიის მოსამზადებლად რეპეტიტორებს მივმართე, ვერბალური ნაწილი სახლში, დედასთან ერთად მოვამზადე, ინგლისურ ენაში კი მხოლოდ საკუთარ თავს მივენდე და, საბედნიეროდ, იმედი არ გამცრუებია. ამისთვის მადლობა ჩემი სკოლის ყველა პედაგოგს – წლების განმავლობაში სისტემატური შრომის გარეშე, მხოლოდ ერთი წლის მონდომება უმაღლესი შედეგების მისაღწევად საკმარისი ნამდვილად არ არის.

სერგი: საატესტატო გამოცდები არ მოითხოვს ცოდნის მაღალ დონეს, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ სპეციფიკას იცნობდე. საატესტატო გამოცდებისთვის თავად მოვემზადე და კარგი შედეგიც მქონდა. ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის კი რეპეტიტორებთან ვემზადებოდი.

ბარიერის აწევა

ნათია: უკვე წლებია ამ საკითხზე დავობენ და თვალსაჩინო ცვლილებები ჯერაც არ ჩანს. ჩემი და ჩემ ირგვლივ მყოფთა გამოცდილებაზე დაყრდნობით, ვფიქრობ, საატესტატო გამოცდების ბარიერის აწევა აუცილებლობას სულაც არ წარმოადგენს, ვინაიდან მოსწავლეს სრული ზოგადი განათლების გარკვეული დონის ჩვენება მოეთხოვება და არსებული ბარიერი ამ სტანდარტს შეესაბამება. ამის საპირისპიროდ, აუცილებელია, უახლოეს მომავალში, შეიცვალოს ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემა და საგრძნობლად აიწიოს უმაღლეს სასწავლებელში ჩასარიცხად საჭირო ბარიერი. რაც უნდა მკაცრად ჟღერდეს, უნარების გამოცდის 23/80-ქულიანი, ქართული ენისა და ლიტერატურის 21/80-ქულიანი აბიტურიენტი უმაღლეს სასწავლებელში არ უნდა დადიოდეს იმავე საგნების 70+ ქულიან სტუდენტებთან ერთად, ყველაზე ცოტა – ეს არასამართლიანია, ყველაზე ბევრი – განათლების სისტემა არ მუშაობს. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეროვნულ გამოცდებზე ბარიერის აწევას სხვა უამრავი ცვლილებაც უნდა მოჰყვეს, მაგალითად, პროფესიული სასწავლებლების შექმნა, რათა საშუალო განათლების მქონე იმ ახალგაზრდებმა, რომლებიც უმაღლეს სასწავლებელში ვერ მოხვდნენ ან არც ჰქონიათ ამის ამბიცია (რაც, სამწუხაროდ, იშვიათია), შეძლონ, პროფესიას დაეუფლონ და ისევე სრულფასოვნად იცხოვრონ, როგორც უმაღლესი განათლების მქონე ადამიანებმა.

სერგი: ჯერჯერობით, საატესტატო გამოცდების ბარიერი იმდენად დაბალია, რომ ალბათ სულ მცირე ცოდნა და იღბალიც საკმარისია იმისათვის, რომ გამოცდა ჩააბარო. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული გამოცდებზე მხოლოდ იღბალი არ ჭრის, საგნობრივი ბარიერი მაინც დაბალია და ამიტომაც მისი გადალახვა მარტივია. ჩემი აზრით, თითოეული საგნის ბარიერმა უნდა აიწიოს, რათა მოსწავლეებმა უფრო მოინდომონ სწავლა და შეეჩვიონ გამოწვევებს. უნივერსიტეტში ჩაბარება და იქ განათლების მიღება არ უნდა იყოს ასეთი მარტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს ისევ ძალიან ბევრი დიპლომიანი უმუშევარი დაუგროვდება.

პროფესიის არჩევანი

ნათია: წინასწარი პირობითი ჩარიცხვით, შემდგომ კი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით, ჩავაბარე სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტ – საქართველოს (SDSU – Georgia) ქიმია/ბიოქიმიის ფაკულტეტზე. მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, უნივერსიტეტის შიდა გრანტითა და 100%-იანი სახელმწიფო დაფინანსებით ვისარგებლებ. სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ საქართველოში შემოთავაზებული პროგრამები მეცნიერებასა და ინჟინერიაში საერთაშორისოდ აკრედიტებულია და შესაბამის სფეროში, ქვეყნის მასშტაბით, ვფიქრობ, ერთ-ერთი საუკეთესოა. უნივერსიტეტი, ქვეყნიდან გაუსვლელად, ამერიკული განათლებისა და, ქართულთან ერთად, ამერიკული დიპლომის მიღების საშუალებას იძლევა, რაც, დამეთანხმებით, უდიდესი შესაძლებლობაა ქართველი სტუდენტებისათვის. უმეტესად, სწორედ ამან განაპირობა ჩემი არჩევანი. რაც შეეხება ფაკულტეტს, ჩემი ოჯახისა და მეგობრების მსგავსად, ჩემთვისაც ცოტა უცნაური გადაწყვეტილება იყო, ვინაიდან საბუნებისმეტყველო საგნებისადმი განსაკუთრებული ინტერესი მხოლოდ 2 წლის წინ გამიჩნდა. თუმცა, ეს დრო აბსოლუტურად საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ინტერესი გაღვივებულიყო და ჩემი მომავალი პროფესიაც განესაზღვრა. STEM განათლება საქართველოსა და მსოფლიოს მომავალი განვითარების საწინდარია, ამიტომ ავირჩიე, გავხდე მეცნიერი და ამ განვითარებაში მცირე წვლილი ამ გზით შევიტანო.

მიუხედავად იმისა, რომ საბუნებისმეტყველო საგნები განსაკუთრებით მიყვარს, მრავალმხრივი ინტერესები მაქვს, რის გამოც არჩევანის შეჩერება სან დიეგოს უნივერსიტეტის ქიმია/ბიოქიმიის ფაკულტეტზე არც თუ მარტივი აღმოჩნდა. საბოლოოდ, სან დიეგოს უნივერსიტეტმა და ამ წმინდად სამეცნიერო პროგრამამ უნივერსიტეტების ჩამონათვალში მაინც პირველი ადგილი დაიკავა და დღეს ამ ფაკულტეტის პირველკურსელი გახლავართ.

სერგი: ქიმია/ბიოქიმიის ფაკულტეტი იმიტომ ავირჩიე, რომ ეს საგანი ძალიან მაინტერესებს, თანაც, მეცნიერის ცხოვრება საინტერესო და ამაღელვებელია. დღესდღეობით, მეცნიერება სწრაფად ვითარდება და შესაძლებლობას გვაძლევს, ადამიანის ცხოვრება უკეთესად და უფრო საინტერესოდ ვაქციოთ. სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოში სამეცნიერო და ტექნოლოგიურ მიმართულებებზეა ორიენტირებული, ქიმიის შესასწავლად თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილს, დაახლოებით, თანაბარი დრო აქვს გამოყოფილი, ამიტომაც ვფიქრობ, რომ სწავლის პროცესი ნაყოფიერი იქნება.

წარმატების ფორმულა

ნათია: მიხეილ ჯავახიშვილს დავესესხები და ვიტყვი, რომ „ყოველივეს სჯობია სამი რამ: პირველი – შრომა, მეორე – შრომა და მესამე – ისევ შრომა“. აი, ჩემი წარმატების საწინდარი. რა თქმა უნდა, გონებრივი შესაძლებლობები, ოჯახი, სკოლა, თანატოლები – ეს ყველაფერი გავლენას ახდენს, თუმცა, მთავარი მაინც შენ ხარ, შენი ნებისყოფითა და მონდომებით.

ვერ ვიტყვი, რომ ეს შედეგები ჩემთვის მოულოდნელი იყო, ვინაიდან პირველივე კლასიდან შრომისმოყვარეობით გამოვირჩეოდი და ყოველთვის ვცდილობდი, მაქსიმუმი მეკეთებინა. გამონაკლისი არც აბიტურიენტობის პერიოდი გახლდათ, რომელსაც სამართლიანად ვაფასებ, როგორც ერთ-ერთ საუკეთესო წელს ჩემს ცხოვრებაში. რა თქმა უნდა, ეს წარმატება და მისი თანამდევი უდიდესი სითბო და სიყვარული, რომელსაც გარშემომყოფთაგან ვგრძნობ, დიდი სტიმულის მომცემია. ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯი კიდევ ერთხელ მარწმუნებს, თუკი საკუთარ თავს ყოველთვის იმაზე მეტს მოსთხოვ, ვიდრე ფიქრობ, რომ შეგიძლია, შემდეგ კი ეცდები, ამ მიზანს მიაღწიო, აუცილებლად ასეც მოხდება.

სერგი: ამ შედეგისთვის მოტივაცია და შრომაა საჭირო, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია გამოცდის პროცესის დროს მობილიზება. კარგი შედეგის მოლოდინი ნამდვილად მქონდა, თუმცა, რა თქმა უნდა, გამოცდის შედეგის ზუსტად პროგნოზირება შეუძლებელია, ამიტომაც, თითოეული ქულის გაგების დროს, გახარებული ვიყავი. ამ შედეგით სწავლის მოტივაცია გაიზარდა და მომავალში მსურს, მაგისტრატურა სხვა ქვეყანაში გავიარო.

რჩევა თანატოლებს

ნათია: ზოგადი რჩევის მიცემა მიჭირს, ვინაიდან, ვფიქრობ, რეპეტიტორებთან მომზადების საჭიროება ინდივიდუალურია. ზოგისთვის დამატებითი მეცადინეობა აუცილებელია კარგი შედეგების მისაღწევად, ზოგს მხოლოდ შრომის სისტემატიზაცია სჭირდება, ზოგი კი, უბრალოდ, ცდილობს, არა მხოლოდ გამოცდებისთვის მოემზადოს, არამედ მაქსიმალური ცოდნა მიიღოს რეპეტიტორისგან. თუმცა, ეროვნული გამოცდების ფორმატიდან და პროგრამებიდან გამომდინარე, გარკვეულ საგნებში, მაგალითად, ზოგად უნარ-ჩვევებში მომზადება საჭიროა, ვინაიდან ამ გამოცდის სისტემა მანამდე სკოლაში მოსწავლეს არსად ხვდება. მაგრამ მაინც – რეპე-

ეროვნული გამოცდები

ტიტორთან მისვლის აუცილებლობა ინდივიდუალურია და ყველა აბიტურიენტმა საკუთარი შესაძლებლობებისა და საჭიროებების ადეკვატური შეფასების შედეგად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება.

სერგი: რეპეტიტორებთან მომზადების გარეშეც შეიძლება გამოცდებზე მაღალი შედეგის ჩვენება, თუმცა, ამ შემთხვევაში, მოსწავლე სკოლისგან უნდა იღებდეს შესაბამის ცოდნას, რაც, დღესდღეობით, სასკოლო განათლების გათვალისწინებით, ძალზე იშვიათია. ზოგად უნარებს სკოლაში არ ვსწავლობთ, სასწავლო გეგმა და ეროვნულ გამოცდებზე მოთხოვნა ხშირად აცდენილია ერთმანეთს თითქმის ყველა საგანში, რის გამოც აბიტურიენტი ვერ იღებს შესაბამის ცოდნას, რათა ეროვნულ გამოცდებზე სასურველი ქულები მიიღოს. გარდა ამისა, სკოლის პირობები ხშირად არ იძლევა საშუალებას, რომ თითოეულ მოსწავლეს სათანადო ყურადღება მიექცეს. მომავალ აბიტურიენტებს ვურჩევ, ზუსტად გაითავისონ, რას სთხოვენ ეროვნულ გამოცდებზე და ამის შესაბამისად მოემზადონ.

მათი თვალით დანახული განათლების სისტემა

ნათია: ჩვენი განათლების სისტემა რომ დახვეწასა და მრავალი რეფორმის გატარებას საჭიროებს, გასაკვირი, ვფიქრობ, არავისთვისაა. ყველაზე უარყოფითად, ალბათ, საჯარო სკოლებში ინფრასტრუქტურულ პრობლემებს შევაფასებდი. სპორტის და სააქტო დარბაზების, ლაბორატორიების, თუნდაც საკლასო ოთახების კეთილმოწყობის პრობლემა არაერთ სკოლაში დგას დღის წესრიგში. მესმის, რომ ეს დიდ ფინანსებთანაა დაკავშირებული, მაგრამ, წლების განმავლობაში, მნიშვნელოვან ცვლილებებს რომ ვამჩნევდე ამ კუთხით, ამ თემას არც წამოვჭრიდი. ბევრი ნაკლის მიუხედავად, საქართველოს განათლების სისტემას დადებითი მხარეებიც აქვს. ყველაზე დიდ მნიშვნელობას ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებს მივანიჭებდი, ძალზე ორგანიზებულად, საკმაოდ მაღალ დონეზე ტარდება, მოსწავლეთა ცოდნის გამოვლენის მაქსიმალურ შესაძლებლობასაც იძლევა და გარკვეულ სფეროში ცოდნის ამაღლების სტიმულირებასაც საგრძნობლად უწყობს ხელს. მე პირადად მე-9 კლასიდან ვმონაწილეობ ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში. 4 წლის განმავლობაში არაერთხელ მივსულვარ ფინალურ ეტაპამდე და საუკეთესო ათეულშიც ვყოფილვარ, რამაც, ერთი მხრივ, ჩემი ცოდნის გაზრდის საშუალება მომცა, მეორე მხრივ კი, უდიდეს სტიმულად მომევლინა მომავალი წარმატებებისკენ მიმავალ გზაზე. ასე რომ, ეს ასპექტი სასიხარულოა. ვიმედოვნებ, მომავალი უკეთეს ცვლილებებს გვიმზადებს ამ კუთხით და რამდენიმე წლის შემდეგ, საგანმანათლებლო სისტემის დახვეწის პრობლემა ასე მწვავედ აღარ იდგება დღის წესრიგში.

სერგი: ჩვენს განათლების სისტემას, ჯერჯერობით, ბევრი პრობლემა აქვს, თუმცა, მასწალებლების „ტრენინგი“ და კომპეტენციის დადასტურების გამოცდები ნამდვილად მნიშვნელოვანია. ვფიქრობ, თითოეული საგნის მასწავლებელი მუდამ ფხიზლად უნდა იყოს, რომ სიახლეები არ გამორჩეს და მაღალ დონეზე უნდა ფლობდეს თავის საგანს. რაც შეეხება უარყოფით მხარეებს, პირადად მე, გამოვარჩევდი სასწავლო პროცესის „უინტერესობას“. სკოლების უმეტესობაში ლაბორატორიული გაკვეთილები არ ტარდება, რაც ხელს უშლის მოსწავლეების სამეცნიერო საგნებით დაინტერესებას. გარდა ამისა, უცხო ენის გაკვეთილებზე მოსმენის დავალებაში იშვიათად გვავარჯიშებენ, კლასებში მოსწავლეთა დიდი რაოდენობაა, რაც, საბოლოოდ, მოსწავლეების ცოდნის დონეზეც აისახება. ამ პირობებში თითქმის არც ერთი საგანი არ შეისწავლება სიღრმისეულად (რა თქმა უნდა, რამდენიმე სკოლის გამოკლებით). იმედი მაქვს, ეს პრობლემები მომავალში მოგვარდება და მჯერა, ამ შემთხვევაში, მოსწავლეთა ცოდნის დონე ბევრად გაიზრდება.

პირველი სტუდენტური შთაბეჭდილება

ნათია: სტუდენტობის პირველმა დღემ საინტერესოდ ჩაიარა. ლექტორებმა დიდი მოწონება დაიმსახურეს, ბევრი ახალი ადამიანი გავიცანი, ბევრი დადებითი შთაბეჭდილებაც მივიღე. ვიმედოვნებ, ასე გაგრძელდება და სტუდენტური დღეების უმეტესობა ასევე საინტერესო იქნება.

სერგი: პირველი დღე მომეწონა, სასწავლო გარემო საინტერესო ჩანს და იმედია, მოლოდინი გაამართლებს. ყველაზე მეტად პროფესიული მიმართულების შესწავლას ველოდები.

სამომავლო გეგმები

ნათია: კონკრეტული გეგმები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ წარვმართავ ჩემს ცხოვრებას ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ, ამ ეტაპზე, არ მაქვს. ერთადერთი, რაც დანამდვილებით ვიცი, ის არის, რომ სწავლას მაგისტრატურაში გავაგრძელებ და ვეცდები, მაქსიმალურად გავიზარდო, როგორც მეცნიერი. პარალელურად, ვფიქრობ, უცხოეთში სწავლის გაგრძელებაზე ვიზრუნო, შემდეგ კი, იქ მიღებული ცოდნა საქართველოში ჩამოვიტანო და ქართული მეცნიერების განვითარებას შევუწყო ხელი. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

მოსწავლე შემოქმედი

ირაკლი ნაცვლიშვილი
რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის მე-5 კლასის მოსწავლე

მოძრავი მატარებელი

მაშინ მე-2 კლასში ვიყავი. ამხანაგის დაბადების დღეზე ჩემი კლასელების ყურადღება მოძრავმა მატარებელმა მიიქცია. გემრიელი საჭმელები ყველას დაგვავიწყდა.

იმავე საღამოს დედას და მამას ძალიან ვთხოვე, ასეთი მატარებელი ჩემთვისაც ეყიდათ. შემპირდნენ, მაგრამ დღეები გადიოდა... როგორც იქნა, ერთი თვის შემდეგ, მიყიდეს. ორი მოზრდილი კოლოფი ასაწყობი ვაგონებით, ელექტრომავალითა და რელსებით იყო სავსე. მაშინვე ამოვალაგე ყველაფერი და ელმავალი, ვაგონები და რელსები პატარა გორებად დავაწყე. ამაყად თავაწეულმა და კმაყოფილმა ინსტრუქციის კითხვა დავიწყე. ხან ვდგებოდი იატაკიდან და ვაგონის ნაწილები მაგიდაზე გადამქონდა, ხან ისევ იატაკზე ჩავუჯდებოდი. ვფორიაქობდი, ლოყები მიხურდა. მატარებლის ამოძრავება გვიანდებოდა.

ამ დროს მამა მოვიდა და მაშინვე ხმამაღლა, გახარებულმა გვითხრა, – ბესომ (მამას მეგობარმა) კოჯორში დაგვპატიჟა, სწრაფად ჩაიცვით, მოეწყვეთ და წავედით მწვადის საჭმელად. მე მამას ლაპარაკი არ მესმოდა, მატარებლის ამოძრავების მოლოდინში ვიყავი. მამა ჩემთან მოვიდა, ჩაიცუცქა, მომეფერა, მაკოცა...

მამა ხელს მიშლი!

მამა გაბრაზდა: „რა უკუღმართი ბიჭი ხარ, მე შენ სიამოვნებას, გართობას გთავაზობ, შენ კი“...

მამას სათქმელი დამთავრებულიც არ ჰქონდა, წამოვხტი და რელსები დავამატე. მამამ მაგიდას მუშტი დაარტყა და დაიყვირა: როგორ იქცევი, არც მისმენ, უზრდელი ბიჭი ხარ!..

ავტირდი... თამაში დამთავრდა. ალბათ აგარაკზე სტუმრობაც ჩაიშალა. რაც მთავარია, მატარებლით თამაში, ელმავლის დაძვრის და მისი კივილის მოლოდინიც დამთავრდა... გაიფანტა ჩემი წარმოდგენები და სიხარულები, რაც წრიულად მოძრავ, პატარა, მაგრამ ნამდვილი ელმავალივით მყვირალა მატარებელს უნდა მოეტანა... მე მატარებლით თამაში მერჩივნა...

ლევან დონაძე
თბილისის 52-ე საჯარო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე

დრო

ნათქვამია, დრო ყველაფრის მკურნალია, დრო მნიშვნელოვანი რამაა, დრო რომ არა, ადამიანის სიცოცხლეს, ცხოვრებას, არსებობას აზრი არ ექნებოდაო.

ადამიანს წარმატებისკენ სვლა თავის დროზე რომ არ დაეწყო, განვითარებას მოკლებული იქნებოდა. ამბობენ, დროს არც უნდა გაასწრო და არც უნდა ჩამორჩე, ფეხი უნდა აუწყო და არ დააგვიანოო. დრონი მეფობენ და არა მეფენიო.

დროის საზომი საათია. ბევრი ჩვენგანი საათს უბრალოდ აქსესუარად იყენებს. ზოგს ათასობით დოლარის ღირებულების ბრენდული „როლექსი“ და „ომეგა“ უკეთია მაჯაზე, მაგრამ სულაც არ ადარდებს ამ აქსესუარზე აღნიშნულ დროზე ადრე მოქმედებს თუ გვიან.

სამყარო ხომ დროშიც სრულყოფილია, – მზე და მთვარე თავის დროზე ამოდის და ჩადის; გაზაფხულს ზაფხული მოჰყვება, ზაფხულს – შემოდგომა, შემოდგომას კი – ზამთარი. ჩვენ, ადამიანები, დროის მიხედვით კი არ ვადგენთ რეჟიმს, რომელიც წარმატებისა და უკეთესი ცხოვრებისაკენ გვიბიძგებს, ხშირად ცხოვრების დინებას მივყვებით მხოლოდ.

როცა პაპა ცოცხალი იყო (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, კათედრის გამგე), მასწავლიდა, რომ დრო ხურდა ფულივით არ უნდა ხარჯო და სანუკვარი განძივით უნდა მოუფრთხილდეო. დროთა განმავლობაში ვხვდებოდი ამ სიტყვების არსს და ახლა ვაცნობიერებ, რომ მისი ნათქვამი სიბრძნეს უტოლდება და აუცილებლად გამოსადეგი რამაა.

დრო ყველაფერს კურნავს, მაგრამ ნაიარევს მაინც ტოვებსო. ნაიარევი შედეგებზე ფიქრია, ანალიზია, განცდებია. და თუ ასე არ გამოგვდის, მაშინ ჩვენში ეგოიზმი ზეიმობს, საკუთარ თავზე ორიენტირებული ვხდებით და დროის ფასიც გაუგებარი და ყურადღების მიღმა დარჩენილი ხდება.

კონფერენცია

შეფასება, როგორც სოციალური ბერკეტი

2-6 ოქტომბერს, ბათუმში, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ორგანიზებითა და „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის“ ფინანსური მხარდაჭერით, საგანმანათლებლო სფეროში წლის უმნიშვნელოვანესი მოვლენა გაიმართება – „საგანმანათლებლო შეფასების საერთაშორისო ასოციაციის“ 43-ე კონფერენცია, რომლის მთავარი თემა იქნება: „შეფასება, როგორც სოციალური ბერკეტი“. „საგანმანათლებლო შეფასების საერთაშორისო ასოციაცია“ საგანმანათლებლო სფეროს წამყვანი ორგანიზაციაა. ასოციაციაში, რომელიც 1975 წელს დაარსდა, 50-ზე მეტი ქვეყანაა გაწევრიანებული და საგანმანათლებლო შეფასების საკითხებში იუნესკოს საკონსულტაციო სტატუსით სარგებლობს. მისი კონფერენციები, თავისი მასშტაბით, მთელ მსოფლიოში უნიკალურია.

შეფასებისა და გამოცდების ცენტრი ორი წელი იბრძოდა მასპინძლობის უფლების მოსაპოვებლად და მოიპოვა კიდეც, პარალელურად, ორი წელი მიმდინარეობდა მუშაობა კონფერენციის მოსამზადებლად. კონფერენციის მთავარი მიზანი არსებული გამოცდილების გაზიარება და ახალი ნაბიჯების დაგეგმვა იქნება. მის მუშაობაში სხვადასხვა ქვეყნის საგანმანათლებლო სფეროს წამყვანი სპეციალისტები მიიღებენ მონაწილეობას. ძირითადი გამოსვლების გარდა, ფორმატი აქტუალური თემების განხილვასა და დებატებსაც ითვალისწინებს. კონფერენციის მონაწილეებს უნიკალური შესაძლებლობა ეძლევათ, მოისმინონ და გაიგონ ბევრი სიახლე. თუ მონაწილეთა გეოგრაფიასაც (აფრიკის, აზიის, სამხრეთ ამერიკის ქვეყნები, ამერიკის შეერთებული შტატები, ავსტრალია და ა.შ.) გავითვალისწინებთ, ნათელი გახდება, რამდენად მრავალმხრივი და შინაარსობრივად დატვირთული იქნება სამუშაო პროცესი.

მაია მიმინოშვილი, შეფასებისა და გამოცდების ცენტრის ხელმძღვანელი: *„ძალიან დიდი საერთაშორისო კონფერენციის მასპინძლები ვართ. ეს ჩვენი ქვეყნისთვის უნიკალური შესაძლებლობაა რამდენიმე კუთხით. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, განათლების სისტემის ექსპერტებისთვის იმიტომ, რომ 50-ზე მეტი ქვეყანა მონაწილეობს და საინტერესო იქნება მოსმენა, თუ რა ხდება ახალი ამ ქვეყნების განათლების სისტემაში, კონკრეტულად საგანმანათლებლო შეფასების სისტემაში, ვინ როგორ ატარებს გამოცდებს, შეფასებას თუ სხვ. თემატიკა ყოვლისმომცველია და ვფიქრობ, ჩვენს არსებულ რეალობას ეხმიანება – „საგანმანათლებლო შეფასება, როგორც სოციალური ბერკეტი“. წარმოიდგინეთ 180-ზე მეტი პრეზენტაცია, თავისი ძირითადი პრეზენტერებით, ასეთი რანგის კონფერენციის მასპინძლობა ქვეყნისთვის უნიკალური შესაძლებლობაა, უამრავი რამ გაიგო, გაიზარო და სხვას გაუზიარო.*

კონფერენცია 6-დღიანია: პირველში იწყება კონფერენციისწინა ვორქშოფი და მთავრდება 6-ში. მასპინძელ ქვეყანას აქვს შესაძლებლობა არა მარტო სხვებისგან ისწავლოს განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული სიახლეები, არამედ საკუთარი გამოცდილება გაუზიაროს სხვებს, წარმოაჩინოს თავისი ქვეყანა, კულტურა. აუცილებელი პირობაა, მაგალითად, ის, რომ კონფერენციის მიმდინარეობისას ერთი დღე დაეთმოს კულტურულ ღონისძიებებს და მასპინძელმა ქვეყანამ საკუთარი ტრადიციები გააცნოს მონაწილეებს. ტრადიციებით ნამდვილად მდიდარი ვართ და ძალიან მიხარია, ამის წარდგენის შესაძლებლობა რომ გვეძლევა.

ძალიან მიხარია, ასევე, რომ ჩვენი მხრიდან გვყავს პრეზენტერები, თუმცა, სამწუხაროდ, ძირითადად, ჩვენი ცენტრის თანამშრომლები არიან, მხოლოდ ორი ქართველია არა ცენტრის თანამშრომელი. რატომღაც გაცილებით მეტის მოლოდინი მქონდა, მაგრამ ეს ძვირადღირებული სიამოვნებაცაა – კონფერენციაში მონაწილეობა რომ მიიღო, გადასახადი 700 დოლარია – უცხოელებისთვის და მასპინძელი ქვეყნისთვის – 400 დოლარი, მაგრამ არც ეს არის მცირე თანხა. სამწუხაროდ, არ გვქონდა შესაძლებლობა იმ რეგულაციების თავიდან აცილებისა, რაც ასოციაციას აქვს ამ კონფერენციებთან დაკავშირებით. ერთადერთი, რაც მოვახერხეთ, შევთანხმდით, , რომ ქართველ მონაწილეს, ვინც პრეზენტაციას წარმოადგენდა, სრულად დავუფინანსებდით არა მხოლოდ მონაწილეობის საფასურს, არამედ იქ ყოფნის ხარჯსაც. და ის ორი ადამიანი, რომელიც ვახსენე, სწორედ ასეთია. მადლობა მინდა გადავუხადო „ათასწლეულის გამოწვევის ფონდ – საქართველოსა“ და „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციას“ ფინანსური მხარდაჭერისთვის. ვფიქრობ, კონფერენცია ძალიან ნაყოფიერი იქნება, ყოველთვის ასეთია – ცოცხალი, ძალიან საინტერესო დისკუსიებით.

მიხარია, ჩვენი ორგანიზაციის წარმომადგენლების მოხსენებები რომ არის, იქ ასე მარტივად არ იღებენ მოხსენებებს, არსებობს კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტი, რომელიც განიხილავს ყველა იმ აბსტრაქტს, რომელსაც წარმოადგენს მომავალი პრეზენტერი და ბუნებრივია, ხდება გადარჩევა. არაერთი ჩემი კოლეგა იქნება წარმოდგენილი და, რა თქმა უნდა, მოვყვებით ჩვენს მიღწევებზე, ასევე, აქტიურად ჩავებმებით დისკუსიებში, მგონია, რომ ბევრ რამეს ვისწავლით, კიდევ უფრო მეტს, ვიდრე აქამდე გვქონდა შესაძლებლობა.

დარწმუნებული ვარ, კარგად ჩავატარებთ არა მხოლოდ შინაარსობრივ ნაწილს, არამედ მაქსიმალურად ვეცდებით, კულტურული ნაწილიც სათანადოდ ჩავატაროთ. ამაში აჭარის მთავრობაც გვეხმარება და, მომავალში, ძალიან ბევრ ქვეყანაში გვეყოლება, ასე ვთქვათ, ჩვენი დესპანები, ვინც იტყვის, რომ საქართველოში არა მხოლოდ კარგი ექსპერტები არიან, არამედ ძალიან, ძალიან საინტერესო ქვეყანაა.“

2018 წელს დარგის საუკეთესო სპეციალისტებს ოქსფორდი უმასპინძლებს.

ლალი თვალაბეიშვილი

ხელოვნების ფესტივალი

არტრა 2017 – სხვა მომავალი

მაკა ყიფიანი

19 აგვისტოს, ფერისცვალების ბრწყინვალე დღესასწაულზე, რაჭაში, სოფელ ჭყვიშში, „არტელი რაჭის“ რეზიდენციაში, თანამედროვე ხელოვნების ფესტივალი „არტრა 2017 – სხვა მომავალი“ გაიხსნა. ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი ჩატარდა: ამბროლაურის სახვითი ხელოვნებისა და ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში. სოფელ ჭყვიშის თანამედროვე ხელოვნების რეზიდენცია „არტელი რაჭა“ და მისი მასპინძელი, მხატვარი **კოტე ჯინჭარაძე**, სამი თვის განმავლობაში, მასპინძლობდა თბილისიდან და უცხოეთიდან სპეციალურად ფესტივალზე მოწვეულ მხატვრებს, ხელოვნებათმცოდნეებსა და კულტურის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს. ფესტივალის პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული როგორც ადგილობრივი მხატვრები, ასევე ადგილობრივი სამხატვრო სკოლების მოსწავლეები, ონისა და ამბროლაურის სოფლების ხელოვნებით დაინტერესებული ახალგაზრდები. ფესტივალის პროგრამა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა და მოიცავდა გამოფენებს სხვადასხვა ლოკაციებში, ასევე სემინარებს, მასტერკლასებს, ვორქშოფებს, პლენერებს და სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებს.

თანამედროვე ხელოვნების ფესტივალი „არტრა“ მესამე წელია ტარდება, მის ფარგლებშიც რეგიონის სხვადასხვა მუზეუმები და საგამოფენო დარბაზები ქართველი და უცხოელი ხელოვანების გამოფენებს ეთმობა. ფესტივალის გახსნაზე, „არტელი რაჭის“ ტერიტორიაზე რამდენიმე ღონისძიება გაიმართა: ფესტივალის პროცესში ჩატარებული ვორქშოფების დროს შექმნილი ნამუშევრებისა და პრინტის ფესტივალის „art in life“ ნამუშევრების გამოფენა; რაჭის ბავშვთა სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა; პროექტი „შაორის კოლაიდერი“; „დაუდასტურებელი ფაქტების ინსტიტუტის (დაფკი)“ პრეზენტაცია-გამოფენა; რეზიდენციის ტერიტორიაზე მოეწყო სოფელ ჭყვიშის ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა და სოფელში შეგროვებული ძველი ნივთების ბაზრობა. თბილისიდან ჩამოსული სტუმრები შეხვდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, რეგიონის კულტურის სფეროს წარმომადგენლებს, ფესტივალში მონაწილე მხატვრებს და „არტელი რაჭის“ შექმნის ისტორიას გაეცნენ. გაიმართა დიალოგი რეგიონში არსებულ მდგომარეობასა და განვითარების პერსპექტივებზე. ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის წარმომადგენელმა, **გია ბერიშვილმა**, თავის გამოსვლაში, ისაუბრა ფესტივალის „არტრა“ როლსა და მნიშვნელობაზე, რეგიონში კულტურული ცხოვრების გააქტიურების აუცილებლობაზე, ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენასა და ხელშეწყობაზე: *„ისეთ საინტერესო პროექტს, როგორიც „არტრაა“, რა თქმა უნდა, მხარდაჭერა სჭირდება როგორც კულტურის სამინისტროს, ასევე ბიზნესმენების მხრიდან. ფესტივალში თითოეულმა ჩვენგანმა, რა ფორმითაც შეგვიძლია, უნდა მივიღოთ მონაწილეობა. მხატვარი კოტე ჯინჭარაძე მადლობას და თანადგომას იმსახურებს, ასეთი ადამიანები ნამდვილად სჭირდება საქართველოს. „არტრა 2017 – სხვა მომავალი“ რეგიონის შესაძლებლობებისა და მომავლის გააზრების მცდელობაა.“*

აღსანიშნავია, რომ წელს „არტელი რაჭის“ რეზიდენციაში ხეზე ჭრის ოსტატის, **ბიქტორ მეტონიძის**, სახელობის საზაფხულო სტუდია-სახელოსნო გაიხსნა. *„ჩვენი მეგობარი, თანამოაზრე, ნიჭიერი ხელოვანი და შემოქმედი ყოველთვის გვერდით გვედგა და, თავისი გამოცდილებით, დახმარებას გვიწევდა, აქტიურად მონაწილეობდა როგორც რეზიდენციის მშენებლობაში, ასევე სხვადასხვა პროექტების განხორციელებაში. მისმა გარდაცვალებამ ყოველ ჩვენგანს დიდი ტკივილი დაუტოვა. სტუდია-სახელოსნოს გახსნის იდეაც მას ეკუთვნოდა და მიზნად ისახავდა ადგილობრივი ახალგაზრდების ჩაბმას შემოქმედებით საქმიანობაში, მათთვის ხის მხატვრული დამუშავების ტრადიციულად მდიდარი გამოცდილების გადაცემას, თანამედროვე დიზაინის, ახალი მოთხოვნების გათვალისწინებით, სწავლების ინდივიდუალური მეთოდების დანერგვას.“* – გვითხრა მხატვარმა კოტე ჯინჭარაძემ.

აგვისტოში თბილისიდან სპეციალურად მოწვეულმა დიზაინერმა, **მარიელ ცხვედიანმა**, სოფელ ჭყვიშის მოზარდებთან, ახალ სტუდია-სახელოსნოში რამდენიმე მასტერკლასი ჩაატარა, ადგილობრივი და ჩამოსული ბავშვებისთვის. ჩვენთან საუბარში დიზაინერმა აღნიშნა, რომ ბავშვები დიდი ინტერესით ჩაებნენ მუშაობაში, გაეცნენ დიზაინის საფუძვლებს და, დროის სიმცირის მიუხედავად, სწრაფად აუღეს ალღო მათთვის მიცემულ დავალებებს. *„პირველადი პროფესიული უნარ-ჩვევები, მასალასთან მუშაობის გარკვეული გამოცდილება, მომავალში, მათ მხატვრული აზროვნებისა და გემოვნების ჩამოყალიბებაში დაეხმარება.“* – ამბობს მარიელი.

გიგა ჭეიშვილი, სოფელ ჭყვიშის ცხრაკლასდამთავრებული, ამჟამად სადმელის საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე: *„დღევანდელ გამოფენა-გაყიდვაზე წარმოვადგინეთ ძველი ნივთებისგან (საათები, ჩაიდნები, ბოთლები...) დამზადებული ახალი ნივთები. ძველ ნივთებს ახალი სიცოცხლე ვაჩუქეთ. მიხარია, რომ მე და ჩემს მეგობრებს – **გიორგი ხმელიძეს, ნიკა ჩხუტიაშვილს, ნიკა ხმელიძეს, დათო ჭეიშვილს, შოთა ჩხუტიაშვილს** – საშუალება მოგვეცა, მონაწილეობა მიგვეღო ფესტივალში და გულთბილი მასპინძლობა გაგვეწია სტუმრებისთვის. ნამუშევრების უმრავლესობა რეზიდენციის სტუმრებმა შეიძინეს, რაც მნიშნელოვანია ჩვენი შრომის წახალისებისა და სტიმულირებისათვის. მე და ჩემი მეგობრები მადლიერი ვართ მხატვარ კოტე ჯინჭარაძის, რომელმაც ფესტივალში მონაწილეობის შესაძლებლობა მოგვცა და მარიელ ცხვედიანის, რომელმაც არაერთი საინტერესო გაკვეთილი ჩაგვიტარა.“*

აღსანიშნავია, რომ წელს ფესტივალში „არტრა 2017 – სხვა მომავალი“ მონაწილეობდნენ: მხატვრები – **მამუკა ცეცხლაძე, ბესო კობახიძე, რიტა ხაჩატურიანი, ლია შველიძე, იენს რაუში, ჩინგიზ ბაბაევი, ელნურ ბაბაევი, ელენე რაქვიაშვილი, მაკა ბატიაშვილი, მარიამ ნატროშვილი, დეთუ ჯინჭარაძე, ანა ძიაპშიპა, ირინა პოპიაშვილი, გია ქემოკლიძე, ზაურ გამყრელიძე, ნიკა ქუთათელაძე;** თავისუფალი უნივერსიტეტის ვიზუალური ხელოვნებისა და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტები – **ტასა ახვლედიანი, სალომე ჯოხაძე, გიორგი გელაძე, გიორგი ვარდიაშვილი, სალომე ჩიგილაშვილი;** თბილისის ისტორიის მუზეუმის წარმომადგენლები – **ლიკა მამაცაშვილი, ქეთი ტრაპაიძე, პატრიცია ჯონი, კოტე ჯინჭარაძე, თუთუ კილაძე, მარიელ ცხვედიანი, რუსკა გიგაშვილი, ბესო კობახიძე;** ფოტოკონკურსის „ქოლგა“ დამფუძნებელი **ბესო ხაინდრავა**, მწერალი **დათო ტურაშვილი**, პოეტი **გურამ გორდეზიანი;** „საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის“ თანამშრომლები – **ირაკლი** და **დავით ხვადაგიანები**.

თანამედროვე ხელოვნების რეზიდენცია „არტელი რაჭა“ თორმეტი წლის ისტორიას ითვლის. ის რეგიონში ერთადერთი სახელოვნებო რეზიდენციაა, სადაც ყოველწლიურად, კურატორებისა და ხელოვანების ხელმძღვანელობითა და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობით, ტარდება ვორქშოფები, მასტერკლასები, გამოფენები, ლექციები და სხვა ღონისძიებები. 2015 წელს, თავისი არსებობის 10 წლისთავზე, „არტელმა რაჭამ“ ორგანიზება გაუკეთა ვიზუალური ხელოვნების ფესტივალს „არტრა“. 2016 წელს კი, საკუთარი სახსრებით, ფესტივალმა „არტრა-2016“-მა მთლიანად მოიცვა რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის ადმინისტრაციული რაიონები. ეს იყო რეგიონის ყველაზე მასშტაბური მნიშვნელოვანი ღონისძიება საქართველოში. წლევანდელი ფესტივალი მრავალფეროვნებით, უამრავი ღონისძიებით და სტუმრების სიუხვით გამოირჩეოდა. ფესტივალის ორგანიზატორის, ბატონი კოტეს სურვილია, ფესტივალში რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა ჩაერთოს.

კოტე ჯინჭარაძე, მხატვარი: *„თანამედროვე ხელოვნების რეზიდენცია „არტელი რაჭა“ 2005 წელს დაარსდა, სოფელ ჭყვიშში, ჩემი წინაპრების, კერძოდ დიდი ბაბუის – **ილარიონ ჯინჭარაძის** მიერ, საუკუნეზე მეტი ხნის წინ, აშენებულ სახლში. რეზიდენციის სივრცე ასევე მოიცავს კარმიდამოს ტერიტორიას და მასზე განლაგებულ სხვადასხვა საგამოფენო დარბაზებს, გალერეას, საგამოფენო ტერასებს, ბიბლიოთეკას და სახელოსნოს. დღეს, საქართველოს რეგიონებში რეგულარულად მოქმედი რეზიდენციებიდან, სახელოვნებო წრეებში ცნობილია არტ ვილა „გარიყულა“ და „არტელი რაჭა“.*

„არტელი რაჭის“ რეზიდენციაში, განვლილი ათი წლის განმავლობაში, დღემდე რეგულარულად ჩატარებულ ღონისძიებებში, მონაწილეობა მიიღო სამასზე მეტმა ქართველმა და უცხოელმა ხელოვანმა, სხვადასხვა ქვეყნიდან თუ კონტინენტიდან ჩამოსულმა მხატვრებმა. ამ ხნის განმავლობაში, სტუმრებს ვაცნობთ ჩვენს ხალხს, კუთხის ტრადიციებს, ფოლკლორს, რაჭის ბუნებას, ხუროთმოძღვრულ ძეგლებს, ისინი მოგზაურობენ რაიონის სოფლებში, ინტერესდებიან ისტორიით, დღევანდელი პრობლემატიკით, მუშაობენ და შემდგომ წარმოუდგენენ თავიანთ ნამუშევრებს ადგილობრივ მოსახლეობას, ასევე, ატარებენ ტრენინგებს, მასტერკლასებს. ყოველი მათი ჩამოსვლა ახალ-ახალი გვერდებით ავსებს „არტელ რაჭის“ ისტორიას. ყოველი ვორქშოფი სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელ ხელოვანთა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის, ურთიერთპატივისცემასა და საინტერესო გამოცდილების გაზიარებაზე დაფუძნებული, კულტურული დიალოგია.

ჩვენი არეალი ყოველწლიურად ფართოვდება, წელს ფესტივალის ეპიცენტრი, რა თქმა უნდა, ჩემი კარმიდამო იყო. „არტელი რაჭის“ ორგანიზებით, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში, უკვე მესამედ, გაიმართა ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი და წელს, პირველად, ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული იყვნენ როგორც ახალგაზრდა დიზაინერები, ასევე მომავალი არქიტექტორები. ფესტივალს სტუმრობდნენ ეთნოტურის წარმომადგენლები, დათო ტურაშვილის ხელმძღვანელობით. წინა წლებში ჩატარებულმა ფესტივალმა ნათლად დაგვანახა, თუ რა მდგომარეობაშია მაღალმთიან რაიონებში კულტურის კერე-

ხელოვნების ფესტივალი

ბი და რა პრობლემები აქვთ იქ მოღვაწე ადამიანებს. ადგილობრივი ხელოვანები მეტ ყურადღებას და აქტიურ დახმარებას უნდა იღებდნენ ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან; ამ ხნის განმავლობაში, ჩვენსა და მუზეუმების, კულტურის სახლების, სამხატვრო სკოლების წარმომადგენლებს შორის, ჩამოყალიბდა შემოქმედებითი თანამშრომლობა და მეგობრულ-პარტნიორული ატმოსფერო, რაც, ვფიქრობთ, მომავალში ხელს შეუწყობს ადგილობრივი ახალგაზრდების სტიმულირებას, გააქტიურებას და უფრო მეტ ჩართულობას სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში.

ძალზე სასიხარულოა, რომ წელს ფესტივალში ძალიან ბევრი ადამიანი ჩაერთო. გამოფენებს ვაკეთებთ არა იმიტომ, რომ მარტო მხატვრებმა გამოფინონ თავიანთი ნამუშევრები, არამედ იმიტომ, რომ ხალხმა ნახოს, საზოგადოება ჩაერთოს და რაღაცნაირად გავააქტიუროთ რაჭის კულტურული ცხოვრება. ვთანამშრომლობთ რაიონის სამხატვრო სკოლებთან, ბავშვების დაინტერესება დიდია, რადგან ცნობილი მხატვრები მათთვის მასტერკლასებს ატარებენ, აწყობენ შეხვედრებს, კითხულობენ ლექციებს. ბავშვები მათგან ძალიან ბევრს სწავლობენ. ჭყვიში, რაჭის ეს ულამაზესი სოფელი, რომელიც საკმაოდ დაშორებულია ცენტრიდან, წლიდან წლამდე, მოკლებულია კულტურულ ღონისძიებებს. ამიტომ, ჩვენი სურვილია, გარკვეული აქტივობა შევიტანოთ სოფლის და, ზოგადად, რეგიონის ახალგაზრდების ყოველდღიურ ცხოვრებაში. იმედია, მომავალში ადგილობრივების მხრიდან ინტერესი კიდევ უფრო გაიზრდება.

მადლიერი ვარ იმ ადამიანების, რომლებიც მხარში მიდგანან და მონაწილეობენ ფესტივალში, ვორქშოფებში, განსაკუთრებული მადლობა იმ ადამიანებს, რომლებიც მეგობრობენ და თანამშრომლობენ ფესტივალის ორგანიზატორებთან, მათ გარეშე ღონისძიებას ვერ ჩავატარებდი. „არტელი რაჭის“ სახელით, მადლობას ვუხდით დიზაინერ მარიელ ცხვედიანს, ბავშვებთან ნაყოფიერი მუშაობისათვის. მომავალ წელს დაგეგმილია, სპეციალური კურსით, სხვადასხვა საგნის პედაგოგების მოწვევა.

სამწუხაროდ, ფესტივალი „არტრა-2017“ მხოლოდ საკუთარი დაფინანსებითა და მხატვრების ენთუზიაზმით მოეწყო, არც კულტურის სამინისტრო, არც ერთი ფინანსური ორგანიზაცია ან კერძო ბიზნესმენი არ გამოხმაურებია და არ დახმარებია ფესტივალს. იბადება კითხვა – ქაღალდზე და პროგრამებში გაცხადებული მზაობა რეგიონებში კულტურის სფეროს ხელშეწყობის შესახებ მხოლოდ და მხოლოდ ფიქციაა და დეკლარაციის დონეზე არსებობს? რეალურად კი, სახელმწიფოს და ხელისუფლების მხრიდან, არანაირი ხელშეწყობა და სტიმულირება არ ხდება იმ ადამიანების, ვინც რეგიონებში რეალურად აკეთებენ კეთილ და მნიშვნელოვან საქმეს, კულტურის სტიმულირებისა და განვითარებისთვის.“

დათო ტურაშვილი: *„რა თქმა უნდა, ფესტივალით აღფრთოვანებული ვარ. დღეს დავრწმუნდი, რომ თუ მოინდომებს, ყველა ადამიანს შეუძლია ძალიან მნიშვნელოვანი და სასიკეთო საქმეები აკეთოს, მით უმეტეს რაჭისთვის, რომელიც მოსახლეობისგან იცლება. კოტე ჯინჭარაძის ინიციატივას რაჭისთვის ძალიან დიდი სიკეთის მოტანა შეუძლია. სასიხარულოა, რომ ასეთ შორეულ სოფელში, როგორიც ჭყვიშია, არის შესანიშნავი ხელოვნების ცენტრი, სადაც არაჩვეულებრივი ღონისძიებები იმართება და საინტერესო ფესტივალი ტარდება.“*

ფესტივალმა „არტრა-2017 – სხვა მომავალი“ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ „არტელი რაჭის“ შექმნა იმთავითვე დროული, სასიკეთო და მნიშვნელოვანი ინიციატივა იყო რეგიონის კულტურული და სახელოვნებო ცხოვრების აქტივაციისათვის. ეს პროცესი დღესაც გრძელდება, იმედია, მომავალში კიდევ უფრო განვითარდება და მრავალფეროვანი გახდება, მეტი შინაარსით დაიტვირთება, განხორციელდება ახალი პროექტები, ღონისძიებები, პროგრამები, რაც აუცილებლად, თვალნათლივ მოიტანს რეალურ შედეგებს მომავალი თაობის ჯანსაღი განვითარებისათვის.

რაჭაში „არტრა-2017 – სხვა მომავალი“ 1 ოქტომბერს დასრულდება. ფესტივალის დასკვნითი გამოფენა კი ოქტომბერში, თბილისის ისტორიის მუზეუმში გაიმართება.

ინფორმაცია

ყველაზე ცნობისმოყვარე და საინტერესო ფესტივალი

გაიხსნა მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალი, რომელიც 24 სექტემბრიდან 8 ოქტომბრამდე გაგრძელდება და დამთვალიერებელს 150-მდე ღონისძიებას შესთავაზებს – ლექციებს, სემინარებს, კონფერენციებსა და სამეცნიერო პიკნიკებს, საქართველოს მასშტაბით.

მეცნიერება ის სფეროა, სადაც უცვლელი მხოლოდ ცვლილებებია, სადაც ახალი ეპოქის დაბადებას უწყობენ ხელს და სადაც მცირე დეტალებში კაცობრიობის უდიდესი ნაბიჯი შეგიძლია დაინახო. არსებობენ ადამიანები, რომელთა შესაძლებლობების ზღვარი უსაზღვროა, ადამიანები, რომლებმაც შეძლეს და მეცნიერებად აქციეს ის, რასაც ადრე სასწაულს ეძახდნენ. ეს ყველაფერი ხშირად გვინახავს, მაგრამ ძნელად თუ წარმოვიდგენდით, რომ ამის მიღმა ქართველი მეცნიერები დგანან.

ალექსანდრე ჯეჯელავა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი: *„მეცნიერების ფესტივალის ამოცანაა ბავშვებში,*

ახალგაზრდებში მეცნიერების, როგორც არჩევნის, როგორც კარიერის პოპულარიზაცია. მოგეხსენებათ, წლების განმავლობაში, მეცნიერობა, როგორც კარიერა, არც ისე მიმზიდველად გამოიყურებოდა. ჩვენ ვცდილობთ, დავარწმუნოთ ბავშვები, რომ ვითარება რადიკალურად შეიცვალა და რომ განვითარების ძალიან დიდი პერსპექტივებია მეცნიერების მიმართულებით.

წლევანდელი ფესტივალი გამორჩეულია მასშტაბით – ადრე ერთკვირიანი იყო ხოლმე, ახლა 2 კვირის განმავლობაში გრძელდება და საქართველოს 5 ქალაქში ტარდება. ბუნებრივია, ყველა ბავშვი თბილისში ვერ ჩამოვა, ამიტომ შევეცადეთ, ჩვენ ჩავსულიყავით ადგილებზე.

მომავალში ჩვენი ეკონომიკის განვითარება, ჩვენი ბიზნესის განვითარება, ჩვენი ენის და სამშობლოს განვითარება პირდაპირ კავშირშია ახალგაზრდა მეცნიერების განვითარებასთან. მოგეხსენებათ, ამ მიმართულებით, ძალიან ბევრი გვაქვს გასაკეთებელი და დიდი იმედი მაქვს, რომ ეს პატარები, ვინც დღეს აქ არიან, დაინტერესდებიან და მეცნიერებასთან დაკავშირებით კითხვებს დაუსვამენ თავიანთ მშობლებსა და მასწავლებლებს.“

ენების ევროპულ დღესთან დაკავშირებით ქართული ხელნაწერები გამოიფინა

ენების ევროპული დღის აღსანიშნავად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთობლივი თანამშრომლობით, უკვე მესამე წელია ხორციელდება პროექტი, რომლის მიზანს უცხოეთში ქართული ენისა და კულტურის გაცნობა და პოპულარიზაცია წარმოადგენს.

უცხოეთში, ამ დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში, საქართველო წელსაც აქტიურადაა ჩართული. ოცზე მეტ ქვეყანაში წარმოდგენილია ქართული ენის კუთხეები, სადაც ქართული ენითა და კულტურით დაინტერესებული უცხოელები ქართული ენისა და კულტურის შესახებ საინფორმაციო-პოპულარული მასალებით დასაჩუქრდებიან.

პროგრამა „ირბახის“ ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაამზადა სასაჩუქრე კომპლექტები: ილუსტრირებული ორენოვანი ბროშურა „ქართული ენა“ (ქართულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, ესპანურ, რუსულ, თურქულ ენებზე); პოსტერები – „ქართული ანბანი“, „ვისწავლოთ ქართული ენა“; წიგნის სანიშნე, ქართული ანბანის გრაფიკული გამოსახულებებით; კომპაქტდისკი მუსიკალური ვიდეოკლიპისა „ქართული ანბანი“.

სასაჩუქრე კომპლექტს, წელს, დაემატა ახალი ბროშურა – „რატომ უნდა ვისწავლო ქართული ენა“, ქართულ და ინგლისურ ენებზე, რომელიც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ უცხოეთში საქართველოს საელჩოებს გადასცა, ისინი, თავის მხრივ, ენების ევროპული დღის საზეიმო ღონისძიებების დროს, ქართული ენის კუთხეების ორგანიზებასა და სასაჩუქრე მასალების გავრცელებას უზრუნველყოფენ.

ქართული ანბანის თემაზე არაერთი კონფერენცია-სემინარი, საჯარო ლექცია-პრეზენტაცია, გამოფენა თუ პერფორმანსი გაიმართა თბილისში, „მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის“ ფარგლებში:

- „ქართული დამწერლობა – კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა“, ორგანიზატორი – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ანბანის თემაზე შექმნილი ნამუშევრების გამოფენა, ავტორი – დიმა თოფურიძე;
- საჯარო ლექცია/პრეზენტაციები, ორგანიზატორი – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი: „ქართული ანბანი“ – სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“ – ასოც. პროფესორი ლელა ციხელაშვილი, „ქართული ანბანი – იუნესკოს კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდერობის ნუსხაში“ – გ. გოგოლაშვილი, ავთ. არაბული. კ. ნაცვლიშვილი;
- „მსოფლიოში უნიკალური ანბანი“, ორგანიზატორი – ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი. ღონისძიება მოიცავდა რატი ამაღლობელის საჯარო ლექციას, 33 თანამედროვე ქართველი მწერლის ანბანისადმი მიძღვნილი კრებულის პრეზენტაციას, GAU-ს IT ლაბორატორია GeoLab-ის მიერ ახალი ქართული შრიფტების პრეზენტაციას, პანტომიმის სახელმწიფო თეატრის დასის მონაწილეობით, ეტიუდს ქართული ანბანის შექმნის თემაზე;
- „ქართული ანბანი ქართულ ხელოვნებაში“ – ანბანის თემაზე შექმნილი ტანსაცმლის და ფეხსაცმლის კოლექციის პრეზენტაცია, ორგანიზატორი – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გამოფენის გახსნა – „ქართული ხელნაწერი“, წარმოდგენილი იყო ქართული დამწერლობის უნიკალური ნიმუშები (ორიგინალები), რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს X-XVII საუკუნეებს;
- ვიდეოპროექტის „ხელნაწერები არ იწვიან“ პრეზენტაცია. წარმოდგენილი იყო ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების ვიდეოგამოსვლები ქართულ ანბანზე, ხელნაწერებისა და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის შესახებ – თამარ ჭოხონელიძე.

ენების ევროპული დღის აღსანიშნავი ღონისძიებები დასრულდა ნიაზ დიასამიძის კონცერტით, რომელიც ხელნაწერთა ინსტიტუტის ეზოში გაიმართა.

ორგანიზატორი – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

27 სექტემბერი – სოხუმის დაცემის დღე

გადარჩენილი ამბები

ლალი ჯელაძე

ამ ზაფხულს რედაქციამ მისამართი შეიცვალა და თანამშრომლები ჩვენს ნივთებს ვარჩევდით გადასატანად. უჯრაში, ერთ-ერთ საქაღალდეში, აკინძულ თაბახის ფურცლებს წავაწყდი, წარწერით – „ეს ჩემია“. გადავშალე და კითხვა დავიწყე. უსიამოვნო გრძნობა დამეუფლა, ბოლოში რომ გავედი – სინანული. ეს ჩემი დღიურებიდან შემორჩენილი ამბები იყო, რომელსაც წლების წინ ვწერდი, მერე ვხევდი და კომპიუტერიდანაც ვშლიდი, ამით რაღაცისგან განთავისუფლებას ვცდილობდი. როგორც ჩანს, ამას ვერასდროს შევძლებ, რადგანაც იმდენად ძლიერი და ღრმა შთაბეჭდილებაა, რომ მისგან განთავისუფლება შეუძლებელია მანამ, ვიდრე ჩემს ცნობიერში საკუთარი იდენტობა იარსებებს. „გადარჩენილ ამბებში“ ის განცდებია, რაც ომის დროს და მის შემდგომ პერიოდს უკავშირდება. საქაღალდედან ამოღებული ამბები წელს, სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით, ჩვენს გაზეთში იბეჭდება, რადგან ის, რაც „ჩემია“, უკვე 19 წელია, „ახალ განათლებასთან“ ასოცირდება.

იასამნისფერი ფეხსაცმელები

უკან მოვიხედე, საზარელი სურათია, ამაზრზენ ქაოსში მანქანების გროვაა, თითქოს, რაც სამყაროში ავტომობილია, ყველას აქ მოუყრია თავი. ეს ბოლო გაჩერებაა, აფხაზეთის ბოლო გაჩერება, რადგან ამის იქით ვერც ერთი მათგანი წინ ვეღარ წავა. იმედიც აქ ჩერდება? ალბათ, არა, რადგან ამის შემდეგ, გადასარჩენად იწყება საცალფეხო გზა, რომელიც, როგორც ამბობენ, ძალიან სახიფათოა. უღელტეხილი იწყება, დაღლილი ვარ და საშინელი შიმშილის შეგრძნება არ მტოვებს.

უღელტეხილი აქამდე ჩემთვის მხოლოდ გეოგრაფიულ ადგილს ნიშნავდა, არასოდეს ჰქონია ამაზე მეტი დატვირთვა, ახლა კი იქცა ადგილად, რომელიც სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. ვიცი, ეს უნდა შევძლოთ. რა თქმა უნდა, შევძლებთ, აქამდე მოვედით და ახლაც შევძლებთ. ამაღამ აქ უნდა გავათენოთ ღამე, ამას უთქმელად ვხვდები, ზედმეტ კითხვებს აღარც ვსვამ, რადგან ვხედავ, რომ მთელმა ოჯახმა აქ მოიყარა თავი, ახლობლებიც შემოგვიერთდნენ. ბინდდება, მზადება იწყება, საღამოს კოცონი უნდა დავანთოთ, ამიტომ, ყველა ცდილობს, სადაც რამეს ვიპოვით – შეშას, ტოტს, ფიჩხს, ფოთოლს, აქ მოვიტანოთ, მთავარია მშრალი იყოს, რომ ცეცხლი დავანთოთ.

ხის ჯარგვალებით გაკეთებული სადგომებია, მიხარია, მგონი ამაღამ ღია ცის ქვეშ არ მომიწევს დაწოლა და ეს იქნება 23-ე ღამე უღელტეხილზე თუ 22-ე, სათვალავი მერევა. ვერ ვიხსენებ, თავსაც არ ვიღლი, 24-ე იყოს, ამით არაფერი იცვლება.

ხის ორი პატარა სახლი დგას, არა, ეს სახლი არ არის, მე დავარქვი სახლი, თორემ ისე თხის სადგომებია, სადაც ღამეს მწყემსებიც ათევენ. შიგნით შევიხედე. არაუშავს, ღამის გასათევად გამოდგება, ერთ კედელზე საწოლის მსგავსი ხის მოწყობილობაა გაკეთებული და ზედ ქვეშაგებად რაღაც რუხი ფერის სქელი პლედი აფარია, ერთი ყავისფერი კუბოკრული პლედიც იქვე აგდია. სასწრაფოდ ვიღებ, გარეთ გამოვდივარ და ვფერთხავ, ღამე დავიფარებთ და გავთბებით. არ ვიცი, ვინ სად დაწვება ამაღამ, მაგრამ მაინც ვიჭერ თადარიგს, იქნებ მეც მომიწიოს ამ ლოგინზე დაძინება. წინა ორი ღამე განსაკუთრებით მძიმე იყო, რადგან ღამის გათევა ძალიან სველ და ნესტიან მიწაზე მოგვიწია, ცეცხლი ძლივს აანთეს, სველი და ხავსმოდებული ხის ნაჭრები არ იწვოდა, ბოლავდა და ლამის შიგ ვყოფდით ფეხებს გასათბობად. ბაბუ 82 წლისაა, ძალიან სცივა, მართლა ცეცხლში ყოფს ფეხებს, გათოშილია. სხვებისგან განსხვავებით, მე შედარებით კარგად ვგრძნობდი ხოლმე თავს, რადგან მამა თავის ფეხებზე მიწვენდა, მეც რაც შეიძლება ვპატარავდებოდი, ისე ვიკუნტებოდი, რომ მთლიანად მის ფეხებზე მოვთავსებულიყავი, სველ მიწას აღარ ვეხებოდი. მიუხედავად ყველაფრისა, ისეთი დაღლილი ვარ, მაინც მეძინება. არ ვიცი, დანარჩენებს სძინავთ? თავიც აღარ მაქვს, რომ გავარკვიო.

23-ე თუ 22-ე დღეს გამიმართლა. მიხარია, რომ საკენში ვართ. ამბობენ, ამის შემდეგ ერთი დღის გზაა, ამ უღელტეხილსაც გადავივლით და უკვე სამშვიდობოს ვართ, რადგან უღელტეხილის იქით ჭუბერია. გათენდა, ჩემს შეთვალთვალებულ ლოგინზე მძინავს და ადგომა მეზარება, ძალიან ადრეა, მაგრამ მაღვიძებენ, გზა უნდა გავაგრძელოთ. დილა იმავე შეგრძნებით იწყება – მშია.

ვერტმფრენის ხმა ისმის, ჩვენ გვიახლოვდება. შევშინდი, ბომბი რომ ჩამოაგდოს? მაგრამ ფიქრსაც ვერ ვასწრებ, რომ ვერტმფრენმა ცხვირი ძირს, ჩვენი მიამრთულებით დაუშვა და ზუსტად თხის სადგომებთან დაჯდა. საშინელი ხმაურია, იქვე, კოცონის ადგილას, დარჩენილი ნაცარი ააფრიალა და სახეში შემოგვაყარა. მოკლედ დიდი აურზაურია. ამ დროს ისმის ავტომატიანი კაცის ხმა, თუ გინდათ, რამდენიმე ადამიანს წავიყვანთ ჭუბერამდე, ოღონდ ძალიან სწრაფად უნდა ამოხვიდეთ. ჩვენ, გუშინ რომ ვერტმფრენი ჩამოვარდა, მათ დასახმარებლად ჩამოვფრინდითო, მაგრამ საშინელება დაგვხვდა, ყველაფერი დამწვარია, ვერტმფრენი ფეხმძიმე ქალებით და ბავშვებით იყო სავსე...

ძალიან სწრაფად მოქმედებენ, ბაბუ და ბიძაშვილის ბავშვები ასვეს ვერტმფრენში, შემდეგ ქალები – დეიდაჩემი, ბიცოლაჩემი, ფეხმძიმე რძალი. იმავე კაცის ხმა ისმის – მეტი აღარ ამოხვიდეთ, თორემ ვერ აფრინდება, საშიშია, გუშინდელივით არ ჩამოვარდეთ. მამა სთხოვს – მხოლოდ ერთიც რაა და ჩემსკენ მოდის, ხელში ავყავარ და წამებში მეც ვერტმფრენში ვარ. ნელ-ნელა მაღლა იწევს ამდენი ადამიანის გადამრჩენელი ვერტმფრენი. კარი არ აქვს, კარის ადგილას ავტომატიანი ჯარისკაცი დგას, რომ არავინ გადავარდეს. დაბლა ვიხედები და უცებ დედას თვალებში ვუყურებ, გული კიდევ უფრო მიჩქარდება, რაღაც ყელში მებჯინება. მამა და ბიჭები იქვე დგანან, არც ერთი ზემოთ არ იხედება. არ ვიცი, შეიძლება ვერ ვამჩნევ, მხოლოდ დედას თვალებს ვხედავ. უცებ, ჯარისკაცის ხელს ვწევ და ვარღვევ ერთადერთ წინაღობას ჩემსა და ვერტმფერნის გარეთ დარჩენილ სამყაროს შორის. წინააღმდეგობას არც კი მიწევს, რადგან ჩემს განზრახვას ვერ ხვდება. მოულოდნელად ძირს ვხტები, კუნძივით, მუხლებით ვენარცხები მიწას. დაბლა მინდორია, არც ისე მეტკინა, შიშით საერთოდ არ შემშინებია. მამას განწირული ხმა ისმის – რას აკეთებ? მე ძალიან კმაყოფილი ვპასუხობ – თქვენთან მინდა. ხომ გითხარით, იმ დღეს გამიმართლა.

ამის შემდეგ იწყება ყველაზე მძიმე დღე.

დავაზუსტე, ეს 24-ე დღეა. არც წვიმს და არც თოვს, მაგრამ ამბობენ, უღელტეხილზე, იმ მონაკვეთზე, რომელიც უნდა გავიაროთ, მოთოვა და ღამით ყინავს. ვინც ვერ შეძლებს ერთ დღეში ჭუბერამდე ჩასვლას, გაიყინებაო. ღამეს იქ ვერავინ ათევს. მოკლედ, კაცები არაფერს იმჩნევენ, მაგრამ აშკარად ღელავენ. გზა უნდა გავაგრძელოთ. მე ისევ ოჯახთან ვარ. დავიძარით. დასაწყისში არც თუ ისე ცუდი გზაა. ნეტა ბოლომდე ასე გაგრძელდეს. მაგრამ, რამდენიმე კილომეტრში ყველაფერი იცვლება. შორიდან ჩანს აღმართი, დაკიდებული გზაა, თავიდან მგონია, რომ რუ მოდის, მაგრამ მივუახლოვდი და ვხედავ, რომ ეს ტალახის მასაა. წარმოუდგენელია, აქ როგორ უნდა გადავდგა ნაბიჯი, მაგრამ თავს ვიმშვიდებ, ხალხი ხომ მიდის, ალბათ, მეც შევძლებ. მაგრამ ერთი პრობლემა მაქვს მოსაგვარებელი, ფეხზე ნაჭრის „ესპადრილები“ მაცვია. თეთრი ესპადრილებია, რომელიც დეიდაჩემმა მიყიდა, ძალიან მომწონდა, მაგრამ ახლა ვერც კი მიხვდები, რომ ოდესმე თეთრი ფერის იყო. ეს არაფერია, ძირი ორივეს შემოხსნილი აქვს, 24 დღე გაუხდელად მაცვია. ფეხზე ალუმინის მავთულებით მიმამაგრა ჩემმა ძმამ. ის ადგილები, რომელზეც მავთული მეხება, სულ მოხეხილი მაქვს, მაგრამ ტკივილს შევეჩვიე, აბა, ფეხშიშველა ხომ ვერ ვივლი, რამე შემერჭობა. მაგრამ ახლა როგორ უნდა მოვიქცე, ტალახში გამძვრება ფეხიდან, დავკარგავ. არაუშავს, რაღაცას მოვიფიქრებ.

ზედმეტად აღარაფერზე ვფიქრობ, ასე უფრო იოლია, თან ძალიან მშია. საჭმელი წინა დღეებში უფრო გვქონდა, ვიდრე საკენამდე მოვიდოდით. ჩვენთან ერთად, ჯარიც მოდიოდა, ჩემი ძმის ნაცნობები „ბეტეერით“ მოდიოდნენ. ხშირად მათ მოჰქონდათ ჩვენთვის პურის ნატეხი ან რასაც იშოვიდნენ, მოხუცს აჭამეთო – მათაც იცოდნენ, რომ ბაბუ სულ პურს ითხოვდა. ერთხელ, ერთ-ერთ სოფელში, ყველი ვიყიდეთ, პროდუქტი, ძირითადად, რამე ნივთზე იცვლებოდა იმიტომ, რომ ფული აღარავის ჰქონდა, ოქრო კი ყველგან და ყოველთვის ჭრის. ჰოდა, ვისაც ან ოქროს საყურე, ან ყელსაბამი, ან ბეჭედი გვეკეთა, ასე ნელ-ნელა საჭმელში დავარიგეთ. ჩვენი ქონების ბოლო ნარჩენებიც ამ გზაზე გაიფანტა და ყველაფერი ჭუბერს იქით დარჩა.

ერთხელ ვერტმფრენიდან პური ჩამოყარეს, აგურის ფორმის პურები ისე ცვიოდა ზემოდან, გეგონებოდა ჩვენს ჩასაქოლად ყრიდნენ. ესეც ერთხელ მოხდა და მაშინაც, ვერტმფრენი წინა დღეს აფეთქებულ ვერტმფრენს ეძებდა, რომელსაც ფეხმძიმე ქალები და ბავშვები გადაჰყავდა. ეტყობა თან წამოიღეს პური და ასე ქვებივით გვესროდნენ, დაბლა მყოფთ. „ყოჩაღებმა“, ვინც მოასწრო, აიღო, ჩვენ არ შეგვხვდა, მართალი გითხრათ, დიდად არც არავის შეუწუხებია თავი – ალბათ, ძალიან დაღლილები ვიყავით და ბრძოლის თავი აღარ გვქონდა. ერთხელ სიმინდი მოვიპარეთ, მოუხარშავი სიმინდის ტარო მაშინ დავაგემოვნე, არ მომეწონა, მაგრამ ერთი მაინც შევჭამე, თან ისეთი შეშინებული ვიყავი, ჩემმა ძმამ ყანიდან ძლივს გამოასწრო, პატრონი ყვიროდა – იცოდე გესვრი, სიმინდს თავი დაანებეო, მან კი რისი მოტეხვაც მოასწრო მაინც მოგვიტანა. არასასიამოვნო გემო ჰქონდა. იმის მერე არ გამისინჯავს, იქნება მაშინ შიშის გამო მომეჩვენა, რომ საშინელი საჭმელი იყო. მაგრამ რა დროს დაწუნებაა, როცა არც საჭმელი გაქვს, არც ოქრო და არც ფული, რომელიც აქ კიდევ უფრო ფასობს. არჩევანიც მცირდება. არადა, ოქროს მუშტარი ბევრია, არც წართმევაზე ამბობენ უარს. ერთ დღეს ჩამოვრჩი ახლობლებს. არ ვიცი, დავიღალე ალბათ. მამამ ამიწყო ფეხი და მოვდივართ ერთად. გზაზე ხალხი თოკივით გაბმული მიდიოდა, მაგრამ გზის ერთ მონაკვეთზე, არ ვიცი რატომ, მარტო მე და მამა აღმოვჩნდით. ლამაზი ადგილია, გორაკებიანი მინდორია, ერთ-ერთ პატარა ბორცვის ძირს ღელე კვეთს, წყალზე ფიცრის ხიდია გადებული. ეს ხიდი უნდა გავიაროთ. მე პირველი გავედი, უკან მოვიხედე და ველოდები მამას გადმოსვლას, ხიდი სულ ოთხი ან ხუთი ნაბიჯის სიგრძისაა. უცებ თითქოს მიწიდან ამოიმართა შავებში ჩაცმული, თავზე შავ „ბენდენა“ წაკრული, მკაცრი შესახედაობის მამაკაცი. შაოსანი კაცი პირდაპირ ჩემ წინ დგას, ხელში ავტომატი უჭირავს. დანახვისთანავე დავფრთხი, ისეთი მზერა აქვს, არ მესიამოვნა. მაინც ვფიქრობ, რომ დახმარებას გვთავაზობს ან უბრალოდ მეომარია და ისიც ჩვენსავით მიდის. სიჩუმეა, მამა ჯერ ისევ ხიდის თავში დგას და ელოდება, არ ვიცი რას. დუმილს შაოსანი არღვევს – ოქრო მოგვეცით და არაფერს დაგიშავებთ. მამა მე მიყურებს, ფერი არ ადევს, ხელით მანიშნებს, რომ ხმა არ ამოვიღო. როგორც იქნა, ხიდზე გადმოვიდა და ჩემ წინ დადგა, თითქმის მისი თვალთახედვიდან დამფარა. ამოვისუნთქე, მამას ავეკარი და ველოდები, რა მოხდება. ისევ გაიმეორა – ოქრო მომეცით და არაფერს დაგიშავებთ. ოქრო არ გვაქვს – პასუხობს მამა, – მართლა არ გვაქვს. უცებ ავტომატიანი მამაკაცი დაიხარა, ფეხსაცმელი გაიხადა, ვერ ვხვდები, ახლა რა უნდა ქნას? ფეხსაცმელი საკმაოდ დიდი ზომისაა, ვაკვირდები, თვითონაც ზორბა ტანის მაღალი კაცია, მამას თავზე დაჰყურებს. წარმოუდგენელი რამ ხდება – მამას ფეხსაცმელს გამეტებით ურტყამს შუბლში, სამჯერ მოიქნია ხელი. ელვის სისწრაფით კიდევ ორი ავტომატიანი, ზუსტად ისეთივე ჩაცმული „მეომარი“ ჩნდება. როგორც ჩანს, მძარცველების ჯგუფია. თანაგუნდელს აწყნარებენ, კარგი, დაანებე თავი, ალბათ, არ აქვს ოქრო. ხმას არ ვიღებთ, მხოლოდ მამას ხშირი სუნთქვის ხმა მესმის, სახეზე სულ სველია. შეგვეშვნენ. მდუმარედ ვაგრძელებთ გზას. არც ვიცი, რა ვუთხრა მამას, ვგრძნობ, რომ თავმოყვარეობა შეელახა, თან თავს დამნაშავედ ვგრძნობ, ეს ხომ ჩემ გამო მოხდა, სწრაფად ვერ ვიარე. საღამოს დავეწიეთ ოჯახის დანარჩენ წევრებს, მიხარია, რომ ისევ ერთად ვართ. ამ ამბავზე არც ერთი ხმას არ ვიღებთ. არადა, ეს დღე იმ 25-დან ერთ-ერთი ყველაზე მძიმე დღეა.

* * *

ფეხსაცმელები უნდა ვიშოვო, მაგრამ სად? არ ვიცი, როგორ შევუდგე ასეთ ტალახიან გზას ფეხშიშველა. დედამ მითხრა, რომ ჟაკეტს გაიხდის, დავხიოთ და შემოიხვიე ფეხებზე, ცოტას მაინც დაგიცავსო. მე გავჯიუტდი, არ ვიცი, მგონი

27 სექტემბერი – სოხუმის დაცემის დღე

მრცხვენია, როგორ ვიარო ასე, ვინმე ნაცნობმა რომ დამინახოს? მაგრამ ტალახში ვერც კი გაარჩევს, ფეხზე მაცვია თუ ჭინჭები მაქვს შემოხვეული. მოკლედ, დედას ვთანხმდები. ამ დროს მესმის, ვიღაც მეძახის. ჩემი ძმის ხმას ვარჩევ – მოდი, რაღაც ვიპოვე. გავრბივარ, ჯუჯა ხესთან, უფრო ბუჩქს ჰგავს, დგას და თითით მაჩვენებს – ნახე. ხის ძირში შავი ფეხსაცმელები აწყვია. მეუბნება, მგონი კარგად გექნება. 24-ე დღეს კიდევ ერთხელ გამიმართლა. ეს ყველაზე ძვირფასი ფეხსაცმელია, რაც კი მქონია ცხოვრებაში, იმაზე ძვირფასიც კი, თბილისში ყოფნის დროს ჩვენი მასპინძლის მეგობარმა რომ მაჩუქა – იასამნისფერი ფეხსაცმელი. მისმა სილამაზემ მხოლოდ ერთხელ გადაფარა ხის ძირში ნაპოვნი ფეხსაცმელებისგან მოგვრილი სიხარული. მართლა ძალიან ლამაზი იყო. ცოტა პატარა მქონდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, მაინც მეცვა. მეტროში, ხშირად, მატარებელში რომ ვერ შევდიოდი ბევრი მგზავრის გამო, დიდხანს მიწევდა სადგურში მატარებლის ლოდინი. ჰოდა, ამ ლოდინში, სულ ჩემს იასამნისფერ ფეხსაცმელებს დავყურებდი, რომლებიც ძალიან მიჭერდა და თან ვუფრთხილდებოდი, ფეხი არავის დაედგა, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო, რადგან ხალხის მასას ისე შეჰყავდი და გამოჰყავდი ვაგონიდან, რომ ფეხსაცმელს კი არა, თავს არავინ უფრთხილდებოდა. არადა, ეს ჩემი პირველი ფეხსაცმელი იყო, რაც თბილისში ჩამოსვლის შემდეგ ქეთომ მაჩუქა. თან ამით, ვერ წარმოიდგენთ, ოჯახს რამხელა პრობლემა გადაუჭრა, უკვე შემეძლო უნივერსიტეტში წასვლა, რადგან იასამნისფერი ფეხსაცმელი მქონდა.

მულახი

სარკეში ჩავიხედე. თვალები ჩაცვენილი მაქვს, ძალიან გავმხდარვარ, თმებიც მომზრდია. ონკანი მოვუშვი და ცხელი წყლის ოთრქლი საამოდ მეცა სახეში. ღმერთო, 25 დღის შემდეგ ცხელი შხაპის ქვეშ უნდა ვიბანაო. ონკანს ვკეტავ, ცხელ წყალს ვუფრთხილდები, ალბათ, წყალს შეშის გამაცხელებლით ათბობენ. ისევ სარკეს ვუბრუნდები, თმები თვალებში მეფხატება, მინდა ბანაობამდე „ჩოლკა“ შევიმოკლო. ვათვალიერებ, ალბათ, აქ სადმე მაკრატელიც იქნება. ვპოულობ. „ჩოლკა“ შევიჭერი. კმაყოფილი ვარ. ხვალ გავიპრანჭები. თან ვფიქრობ, არავინ შემამჩნიოს, მეუხერხულება უცხო ოჯახში, სადაც კეთილმა ადამიანებმა ღამის გასათევად წაგვიყვანეს, მე თმას ვიჭრი, რა დროს ესაა. აბაზანის შემდეგ დიასახლისს მეორე სართულზე, საძინებელ ოთახში მივყავარ და მშვიდობიან ღამეს მისურვებს. საოცარი შეგრძნებაა – ფუმფულა ლოგინში ვწვები და საერთოდ მავიწყდება ის 25 ღამე, როცა ლოგინად მიწა გაქვს ან, საუკეთესო შემთხვევაში, მამის კალთა და მუხლები. ფიქრსაც ვერ ვასწრებ, ძილი ისე მართმევს თავს. დილით ისევ დიასახლისი მაღვიძებს, ძალიან ფრთხილად და მოკრძალებით. შეშინებული ვდგები, მგონია, ისევ ტყეში ვართ და რამე საფრთხეა. ფანჯარასთან მივდივარ და საოცარება იშლება თვალწინ – მულახი.

აქამდე მოსასვლელად რამდენი სირთულე გადავლახეთ. პირველი ოჯახი, სადაც საჭმელი იმდენია, რამდენსაც შეჭამ და პირველი ღამე, როცა ლოგინში თბილად დაგვაძინეს, მულახში ცხოვრობს. გზაში სვანები გვხვდებოდნენ დიდ ქვაბში მოხარშული კარტოფილით, სახლში გამომცხვარი პურით, ყველით და ღამის გასათევს გვთავაზობდნენ და თან ისე გულწრფელად გვეპატიჟებოდნენ, რომ ღამე მათთან გაგვეთია, ფიქრობდი, რომელ ოჯახს გავყვე, რომ მეორეს გული არ დავწყვიტოო. მულახის ორღოობებში საოცარი სითბო და თანადგომა ტრიალებდა. მე, მამა და ჩემი ძმა ონიანების ოჯახში წაგვიყვანა სახლის უფროსმა. დიასახლისი გრძელ მაგიდაზე ცომს დინჯად აგუნდავებდა. მორცხვად შევედი, თავს მაღლა ვერ ვწევ, არ ვიცი, ასე რატომ მრცხვენია, რომ თავშესაფარს ვეძებთ, ღამის გასათევად უცნობს შევეკედლეთ. თუმცა, მიპატიჟებული ნამდვილად ვართ. სვანი ქალბატონი მიღიმის და სახელს მეკითხება. მეუბნება, რომ ჩემი თანატოლი შვილები ჰყავს. მალე მოვლენ, სადღაც იქვე, უბანში არიან მეზობელთან. ამასობაში გზაში გადახდენილ ამბებს მეკითხება. მეც ავლაპარაკდი. კარტოფილიან და ყველიან პურებს აცხობს, ხაჭაპურს არ ჰგავს, თავზე პატარა, შავ მარცვლებს აყრის. სუფრა გაშალეს, ვივახშმეთ, უგემრიელესი ვახშამია. გვეკითხებიან, სად ვაპირებთ წასვლას, ნათესავები სად გვყავს, ვის უნდა შევეკედლოთ. მამა პასუხობს, რომ თბილისში ძალიან ახლობელი ოჯახი ცხოვრობს, ალბათ, გველოდებიან კიდეც. მათთან მივალთ და გვიპატრონებენ. მერე უფრო დანვრილებით ჰყვება ჩვენი ახლობლების შესახებ. დაუჯერებელია, ოჯახის ერთ-ერთი წევრი, მათ იცნობს. აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი გაზეთის რედაქციაში ჩვენს ნათესავს მასთან ერთად უმუშავიათ. საოცარი გრძნობა მეუფლება, თითქოს, შორეულ ნათესავებთან ვარ სტუმრად. ერთი სული მაქვს, როდის გათენდება, რომ დედას და დეიდას ვუთხრა ამის შესახებ, მათაც გაეხარდებათ, რადგან ჩვენი თბილისელი მასპინძლები სწორედ მათი ნათესავები არიან.

ამ სიკეთით სავსე ოჯახის წყალობით, იმ საღამოს, მულახამდე განვლილი დღეები თითქმის უკვე დავივიწყე, თვალები მეხუჭება, ისე მეძინება. თან, რაც მთავარია, მშვიდად დავიძინებ, აღარ ვფიქრობ, ხვალ როგორი გზა გვექნება გასავლელი ფეხით, იწვიმებს თუ არა, ბაბუსთვის საჭმელს ვიშოვით თუ არა... სიზმარშიც მულახის ქუჩებს ვხედავ, ხალხი ირევა, ოჯახის უფროსი მამაკაცები გვეპატიჟებიან, შევჩერდეთ და საჭმელი მივირთვათ... ჩვენ მორცხვად ვუყურებთ და თავაზიანად უარს ვამბობთ. მერე მაინც ვთანხმდებით, საოცარი კარტოფილია, ყვითლად გამოიყურება გახლეჩილი მუნდირიდან. მარილი დიდ თეფშზე ყრია, გაფცქვნილ კარტოფილს მარილს მოაყრი და მიირთმევ. მამაკაცებს ჟიპიტაურითაც უმასპინძლდებიან, გადაჰკარით, შეცივნული იქნებითო. ფიქრობ, რომ ეს ადამიანები ღმერთმა რწმენის დასაბრუნებლად მოგვივლინა...

დილით ოჯახის წევრებს ვხვდები, თმის შეჭრას ვერავინ მამჩნევს, მიხარია. სამაგიეროდ, ყველა მატყობს, რომ ენერგიით სავსე და უფრო მხიარული ვარ. ვიცი, რომ დღეს რომელიმე მოხალისე, თავისი მანქანით, თბილისში წაგვიყვანს. იქ კი, გველოდება ოჯახი, რომელიც ჩვენს მომავალ ცხოვრებას გადაარჩენს. ვტოვებ მულახს და ვფიქრობ, ოდესმე თუ დავბრუნდები ამ ულამაზეს სოფელში, აუცილებლად ვიპოვი ოჯახს, რომელმაც ჩემს ბნელ და ცივ ღამეებში იმედის პირველი ნაპერწკალი გააჩინა.

ვხედავ სამყაროს არც თუ ისე ფერადს და არც თუ ისე მშვიდს...

არ მიკვირს, რადგან ჩემმა ქვეცნობიერმა უკვე იცის ქვემეხების ქუხილი, ტყვიების ზუზუნი, სიკდილის შიში და ომით მიყენებული ტკივილი... და, რაც მთავარია, იცის სამყაროს განაცრისფერების მიზეზი – რუსული აგრესია, რომელიც სულ ახალი მიძინებულია. ჰოდა, მეც სამყაროს შეცნობას სწორედ ამ აგრესიის ნარჩენების თანხლებით ვიწყებ: უშუქობა, უწყლობა, უგაზობა, უპურობა.

...კარგი რა ხდება? კარგიც ხდება, ჩემ გარშემო იკრიბება ოჯახი, რომელიც რუსული აგრესიის „დამსახურებით“ ხიზნად იქცა, კეთილი ნათესავის ოჯახში ცხოვრობს და, სულ რამდენიმე თვის შემდეგ, ხარობს ახალი სიცოცხლის დასაწყისით, რომელიც ლიზას დაბადებას უკავშირდება. თუმცა, ერთი წლის შემდეგაც, ჩვენს ოჯახში ჯერ კიდევ სამხედრო ფორმაში ჩაცმული მეგობრები იკრიბებიან, ხანდახან ვიბნევი, ისევ ომია? ნელ-ნელა ვაცნობიერებ, რომ ქვეყანაში აფხაზეთის ომის შემდგომი მძიმე წლებია. დედას თვალებზე მალულ ცრემლს მაინც ვამჩნევ ხოლმე, იმასაც ვამჩნევ, როგორ სწრაფად გადაურბენს ხოლმე ბავშვის დანახვაზე სიხარულის ღიმილი სახეზე, ლიზაც არ აყოვნებს და იწყებს ტიტინს, კისკისს და ბებოც მხიარულდება.

დაბრუნებული ომი

წლების შემდეგ, ნელ-ნელა, ვალაგებ აზრებს – 13-თვიანი ომის შემდგომი ქვეყანა, 30 ათასი დაღუპული ეთნიკური ქართველი, 250 ათასზე მეტი ლტოლვილი, ჰო, ეს სიტყვა ჩემთვის იმდენი ხნისაა, რამდენი წელიც თბილისში ვცხოვრობ.

სამწუხაროდ, მათი რიცხვი 2008 წლის აგვისტოში კიდევ უფრო იზრდება, ისევ იმ მიზეზით, ომი დაბრუნდა. თუმცა, სულ ცოტა ხნით უკან დავბრუნდები. იმ ზაფხულს მთელი ოჯახი გურიის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ ერკეთში ვიყავით, სადაც ომის შემდეგ სახლი შევიძინეთ და ზაფხულობით მთელ „არდადეგებს“ იქ ვატარებთ ხოლმე, ჩვენს ბავშვებთან და სტუმრებთან ერთად. იქ ცხოვრება ისეთი საინტერესო და ლაღი მეჩვენება, ამაზე რომ დავწერო, ალბათ, არც დრო მეყოფა და არც სიტყვები. მოკლედ, ბევრი საინტერესო თავგადასავალი დავგეგმეთ... მაგრამ ჩვენს სიმშვიდეს ისევ რუსული სამხედრო ვერტმფრენების ხმა არღვევს. ისევ მესმის საზარელი სიტყვები: ომი დაიწყო. აკი გითხარით, ეს განცდა ჩემს ქვეცნობიერს არასოდეს ტოვებს, მაგრამ, წლების შემდეგ, კიდევ უფრო რთული აღმოჩნდა ამის გაგება. საკუთარი თვალით ხედავ კადრებს, თუ როგორ ბომბავენ სულ რამდენიმე კილომეტრით დაშორებულ ქართლის სოფლებს, როგორ იწვის სკოლის შენობები, როგორ კვდებიან ადამიანები, თანატოლები, მშვიდობიანი მოსახლეობა, როგორ იზრდება ძმათა სასაფლაო... მოკლედ, ახლა ვიაზრებ კიდეც, რომ 16 წლის შემდეგ რუსული აგრესია ისევ დაბრუნდა, დაბრუნდა ტყვიებით, ცეცხლით, ქვემეხებით, კასეტური ბომბებით... 2008 წლის აგვისტო ჩემს ცნობიერებაში ყველაზე მძიმე და წარუშლელი თარიღია, იმის შემდეგაც კი, რაც აფხაზეთის ომს გადავურჩით, შიშიც უფრო მეტად მომეძალა, ვფიქრობ ამას დასასრული არ აქვს!

სექტემბერის დასაწყისში თბილისში ვბრუნდები, გორს ვუახლოვდები და გული აჩქარებით მიცემს, გზიდან მოჩანს გადამწვარი ადგილები, დანგრეული შენობები... სამსახურში გავედი. ვერ ვისვენებ. მინდა ჩავიდე და უფრო ახლოს ვნახო რუსული აგრესიის ნაკვალევი. გორში რეპორტაჟის გასაკეთებლად წავედით მე და ლალი, ჩემი თანამშრომელი. „Здесь были мы“ – ეს წარწერა აგრესორებმა ერთ-ერთი გადამწვარი სკოლის დაფაზე დაგვიტოვეს, თითქოს ისე ვერ მივხვდებოდით მათ ნაკვალევს, რომელმაც მხოლოდ ჩვენ კი არა, მთელი მსოფლიო შეძრა და მას რუსული აგრესია ეწოდა. სამაჩაბლოში საომარი მოქმედებები, დიდი მცდელობის შემდგომ, შეაჩერა მსოფლიომ, დაბომბვა შეწყდა, მაგრამ აგრესია, სხვადასხვა სახით, დღემდე გრძელდება. ჯერ კიდევ ისეთივე აქტუალურია სიტყვები: „ფსოუმდე!“ და „როკამდე!“, რადგან დაკარგულ მეომართა საფლავებზე მისვლის სურვილი ჯერაც არ განელებულა, რადგან ჯერ კიდევ აკვარელით ვხატავთ მონატრებულ ზღვას და ჩვენს მეხსიერებაში შემორჩენილ ეზო-კარს, ჯერ კიდევ მენატრება ჩემი მიწის სურნელი... რადგან ჯერ კიდევ არსებობს აქვე, მცხეთასთან ახლოს, წეროვანში, ახალი დასახლება, რომელსაც დევნილთა სოფელი დაერქვა. იქ კი, ათასობით ადამიანი ელოდება თითქოს ხაზგასმული ერთფეროვნებით გარინდული დროის წინსვლას, დროის განახლება კი, ალბათ, მხოლოდ და მხოლოდ, საკუთარ მამაპაპისეულ კერიებზე წარმოუდგენიათ ისევე, როგორც ჩვენ – დანარჩენებს.

სამაგიდე თამაშების მრავალფეროვანი პაკეტები I–VI კლასებისათვის

ახალი შეთავაზება

წესებიანი, სამაგიდე თამაშების მთავარი ამოცანაა: შეუქმნას ბავშვს პოზიტიური განწყობა სწავლისადმი, ხელი შეუწყოს მოსწავლეების სოციალური და საზოგადოებრივ უნარების განვითარებას. ამ თამაშების დროს თამაშში ჩართულ მოსწავლეებს უწევთ: ანალიზი, მსჯელობა, კატეგორიზაცია/დახარისხება, დაგეგმვა/ორგანიზება, გადაწყვეტა, შედარება, შეფასება/კრიტიკა, რეფლექსია, შექმნა, გამოგონება, აღმოჩენა, თანამშრომლობა, წარმოდგენა/ვარაუდი, წინასწარი შეფასება/წინასწარმეტყველება, წარდგენა/პრეზენტაცია, გამოყენება, გაკეთება, პრაქტიკაში გადმოტანა, განხორციელება. თამაშები ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი პროგრამების და გამჭოლი კომპეტენციების შესაბამისად არის შექმნილი.



სამაგიდე თამაშების ჩამონათვალი:

- რომელი საათია – 8 ლარი (თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში);
- მხიარული ფრაგმენტების ლოგიკა – 8 ლარი (თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში);
- ჩრდილები – 8 ლარი (თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში);
- მოხატული ცხოველების ამბები – 8 ლარი (თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში);
- სხვადასხვა სიტუაციები – 8 ლარი (ჯგუფური თამაში);
- შებრძნებები – 8 ლარი;
- მხიარული ცისარტყელა – 8 ლარი (თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში);
- მხიარული წილადები – 8 ლარი (თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში);
- დავეხმაროთ რიცხვებს – 8 ლარი (თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში);
- ვითვლი: 10-მდე, 20-მდე, 100-მდე – 8 ლარი (თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში);
- გავუმასპინძლდეთ სტუმრებს – 23 ლარი (ჯგუფური თამაში, გათვლილია მთელ კლასზე);
- ფერადი მოზაიკა – 8 ლარი (თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში).

სიახლე

წიგნი გზამკვლევის ტიპისაა. მასში ახსნილია პროექტის სტრუქტურა და გაწერილია რეკომენდაციები, როგორ უნდა შეიქმნას თითოეული სტრუქტურული ერთეული. მასალის გამოყენებით, მასწავლებელს შეუძლია დაგეგმოს სასწავლო პროექტი ამა თუ იმ საგანში. წიგნში მოცემული ნიმუშები დაეხმარება მას, გაეცნოს სხვადასხვა საგნებში შექმნილ სასწავლო პროექტებს.

სასწავლო პროექტები

სიახლე

წიგნი შექმნილია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად და დაეხმარება I-VI კლასების მასწავლებლებს, წარმატებით ჩააბარონ საგნობრივი გამოცდა.

ქართული I-VI კლასები



სახელმძღვანელო დაგეხმარებათ დამოუკიდებლად მოემზადოთ პედაგოგიური უნარების გამოცდისთვის. მასალა წარმოდგენილია კითხვა-პასუხის სახით, მდიდარია კონკრეტული მაგალითებით და შეიცავს ცოდნის შესამოწმებელ ტესტებს პასუხებით.

დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ყველა საგნის მასწავლებლისთვის

პროფესიული უნარები

მასწავლებლის სამუშაო რვეული



მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

4 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

წიგნში თავმოყრილია დაწყებითი კლასებისთვის აქტუალური სწავლების მეთოდების გამოყენებით შექმნილი გაკვეთილის სცენარები ქართულში, მათემატიკაში და გუნებაში. სახელმძღვანელო დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლეებს განუვითაროს: წიგნიერების, მედიაწიგნიერების, მათემატიკური წიგნიერებისა და კვლევითი უნარები, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება.

6.50 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას. კალენდარს ახლავს** შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

5.50 ლარი

ცნობარი დაწყებითი კლასების პედაგოგებისათვის

ცნობარი დაწყებითი კლასების პედაგოგებისთვის მომზადდა დაწყებითი კლასების მასწავლებლების საჭიროების გათვალისწინებით. მოიცავს: საგნობრივ, თეორიულ მასალას; ცოდნის შესამოწმებელ ტესტებს, რაც საგნობრივი გამოცდისთვის მომზადებაში დაეხმარებათ.

14 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი. შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით: 599880073, 0322958023

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი
მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №14
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com
რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.
ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

CMYK